კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სალომე ზუბადალაშვილი

კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან დუნდუა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში ეხება უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ინსტიტუტს - კეთილსინდისიერების პრინციპის არსს სახელშეკრულებო სამართალში და მისი პრობლემური საკითხების წარმოჩენას.

კეთილსინდისიერების არსებობაზე არის დამყარებული სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და სიმყარე. შესაბამისად, ჩემი მიზანია, დავასაბუთო თუ რა ადგილი უკავია კეთილსინდისიერებას სახელშეკრულებო სამართალში. განვიხილო ის პრობლემური საკითხები, რაც მას უკავშირდება და ასევე სიღრმისეულად გადმოვცე მისი როლი სამართლებრივ საკითხებში.

კეთილსინდისიერება ფართო გაგების საკითხია და ბოლომდე არ არის შესწავლილი მისი ბუნება სამართლებრივ ურთიერთობებში და სწორედ ამიტომ, უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია განვიხილო მისი მნიშვნელობა სახელშეკრულებო სამართალში. გამოვიკვლიო კეთილსინდისიერების დადებითი მხარეები და ასეევე, ის უარყოფითი მხარეები, რაც მის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია კეთილსინდისიერების როლი სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მისი მნიშვნელობა საქართველოსა თუ სხვა ქვეყნების სამართალში. გადმოცემულია კეთილსინდისიერების წარმოშობის და განვითარების ეტაპები. განხილულია კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელოვანი ფუნქციები და ასევე კეთილსინდისიერების დარღვევის საკითხები.

Salome Zubadalashvili

Problems related to obligatory share in hereditary law

Annotation

This master's thesis refers to the most important legal institution- the essence of good faith in the contract law and the representation of its problematic issues.

The solidity and stabilization of public turnover are based on the presence of good faith. Accordingly, my intention is to identify the part of good faith in contract law, consider those problematic issues that relate to it and point out its role in legal issues in great detail.

Good faith is widely understood and its nature is not clearly identified in legal relationships, due to this fact, I believe that it would me more rational if I considered it in the contract law. I would like to investigate the advantages of good faith and, besides, the disadvantages that could be caused by its violation.

In the previous work, there is clearly understood the role of good faith in contract relationships, and in addition, its meaning in Georgian or foreign law. There are indicated the establishment of good faith and the stages of its development. Besides, there are also considered the functions of its principle, and the issues of the violation of good faith.

სარჩევი

შესავალი 5

თავი 1. კეთილსინდისიერების პრინციპის არსი სახელშეკრულებო სამართალში 8

1.1. კეთილსინდისიერების პრინციპის ზოგადი მიმოხილვა 8

1.2.კეთილსინდისიერების პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 17

1.3. კეთილსინდისიერება ევროპის სამართალში.....22

თავი 2. კეთილსინდისიერების ფუნქცია.....28

2.1. ხარვეზის შევსების ფუნქცია 29

2.2. დამატებითი ვალდებულების დაკისრების ფუნქცია.....34

2.3. შეზღუდვისა და კორექტირების ფუნქცია.....37

თავი 3. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა.....41

სასამართლო გადაწყვეტილება 49

დასკვნა.....57

გამოყენებული ლიტერატურა: 60

შესავალი

სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მასზე არის დამყარებული ის ქმედებები, რაც ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უნდა გააჩნდეს. კეთილსინდისიერება საქართველოსა თუ სხვა ქვეყნების სამართალში უდიდეს როლს იკავებს, რადგან იგი ამოსავალი ქცევის პრინციპია მთელ სამართლებრივ სისტემაში.

კეთილსინდისიერება არის ის ფუძემდებლური პრინციპი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია კერძო სამართლის დარგი. კეთილსინდისიერების კვლევის მიზანს წარმოადგენს მისი ზეგავლენა თითოეულ სამართლებრივ ურთიერთობებში, კერძოდ სახელშეკრულებო სამართალში. მნიშვნელოვანია ასევე მისი იურიდიული ბუნების განსაზღვა და ანალიზი თუ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება მის არსებობას სახელშეკრულებო სამართალში.

კვლევის ობიექტია ის სახელშეკრულებო საკითხები, სადაც მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი.

კვლევის საგანს წარმოადგენს კეთილსინდისიერების უმნიშვნელოვანესი როლის არსებობა-სახელშეკრულებო სამართალში და მისი არ არსებობით ან დარღვევით გამოწვეული პრობლემების წარმოჩენა.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მეთოდს წარმოადგენს გამოვიკვლიო, შევისწავლო და წარმოვადგინო კეთილსინდისიერების როლი სახელშეკრულებო სამართალში.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების როლის შესწავლა და გადმოცემა ამომწურავად შეუძლებელია, ის იმდენად ფართო გაგების საკითხია, რომლის აღქმა და ზნეობის არსი შესაძლოა სხვადასხვაგვარად დავინახოთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მე-8 მე-3 ნაწილი და 361-ე მუხლი განამტკიცებს კეთილსინდისიერებით ქმედების ვალდებულებას. თუმცა სასამართლო პრაქტიკაში ძალიან მცირე რაოდენობით არსებობს კეთილსინდისიერებით ვალდებულების შესრულების მოთხოვნის არსებობა, რაც

პრობლემის შესწავლას უფრო საინტერესოს ხდის და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

პირველ თავში განხილულია კეთილსინდისიერების ის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რაც სახელშეკრულებო სამართალში არსებობს. წარმოდგენილია მისი წარმოშობის და განვითარების საკითხები, თუ როგორ განვითარდა საბჭოთა კავშირიდან დღემდე კეთილსინდისიერების პრინციპი. წარმოჩენილია მისი როლი ქართულ სამართალში და გადმოცემულია ევროპის ქვეყნების სამართლის დამოკიდებულება კეთილსინდისიერების პინციპთან, თუ რა როლი აქვს კეთილსინდისიერებას გერმანიის საფრანგეთის, ჰოლანდიის, იტალიის, კანადის და სხვა ქვეყნების სამართლებრივ ურთიერთობაში. კეთილსინდისიერების პრინციპი არის ასახული ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში. კეთილსინდისიერების პრინციპი არის ასევე ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს სამოქალაქო თუ სავაჭრო კოდექსებში. კეთილსინდისიერების პრინციპი გვხვდება ასევე კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტშიც (international institute for the Unification of Private Law-UNIDROIT).

მეორე თავში გადმოცემულია ფუნქციათა ის ნაწილი რაც სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ხარვეზის შევსების ფუნქცია, რაც გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხარეებმა ხელშეკრულებაში ვერ გაითვალისწინეს გარკვეული პირობები, და მათი შევსება ვერ ხდება სხვა რომელიმე ნორმით , ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ კეთილსინდისიერების ფუნქცია. დამატებითი ვალდებულების დაკისრების ფუნქცია - როდესაც კანონის სამართლის ნორმის ხარვეზს ავსებს კეთილსინდისიერების პრინციპი, რის შემდეგაც ხდება მხარეთათვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრება სახელშეკრულებლო სამართლებრივ ურთიერთობაში. ასევე ასახულია შეზღუდვისა და კორექტირების ფუნქცია. შეზღუდვის ფუნქცია გამოიყენება უფლების გაუმართლებელი გამოყენების დროს, ხოლო რაც შეეხება კორექტირების ფუნქცია ვლინდება, როცა სასამართლოს აქვს უფლება ჩაერიოს მხარეთა ურთიერთობაში.

მესამე თავში კი გადმოცემულია ის სამართლებრივი შედეგები, რაც კეთილსინდისიერების დარღვევას მოჰყვება.

ნაშრომის შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავისა ექვსი ქვეთავის და დასკვნისგან.

თავი 1. კეთილსინდისიერების პრინციპის არსი სახელშეკრულებო სამართალში

1.1. კეთილსინდისიერების პრინციპის ზოგადი მიმოხილვა

კეთილსინდისიერების პრინციპი პირველად რომის სამართალში გვხვდება. კეთილსინდისიერება მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა რომის სამართალში იმ დროიდანვე და მისი საქმიან ურთიერთობებში გამოყენება ნიშნავდა, რომ მხარეები მიცემულ სიტყვასა და პირობას დაიცავდნენ. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა პრეტენზია წარედგინა და მოეთხოვა კონტრაჰენტისგან იძულებითი ვალდებულების შესრულება exceptio doli (generalis)-ის საფუძველზე.[1]

როგორც ვხედავთ კეთილსინდისიერება დამკვიდრდა რომის სამართალში და მისი მნიშვნელობა დიდ ადგილს იკავებდა სამართლებრივ ურთიერთობებში. რომის სამართალში, იმ დროიდანვე, მხარეებს ჰქონდათ საკუთარი პირობის კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება.

„შუა საუკუნეებში კეთილსინდისიერების პრინციპი ერთიან ევროპულ (ius commune) წმინდა მატერიალურ-სამართლებრივ ნორმად გარდაიქმნა და სამართლიანობისა და თანაწორობის ცნებაში (aequitas) გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო მნიშვნელობა მოიპოვა. ამ ეპოქაში bona fides aequitas ძირითადად სავაჭრო დავათა განხილვის პროცესში რეალიზდებოდა და შუასაუკუნოვანი lex mercatoria-ს ფუნდამენტურ პრინციპად იქცა. სამართლიანობის თეზისი (aequitas) აღიქმებოდა როგორც mater iustitiae (გრაციანი) და სამართლიანი მართლმსაჯულების მიზნებიდან გამომდინარე, ხშირად კანონის სიტყვასიტყვითი გაგების თავიდან აცილების დასასაბუთებლად გამოიყენებოდა. თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპთა ერთიანობა კანონიკური სამართლებრივი აზროვნების ეთიკურ ფუნდამენტს ქმნიდა, რის საფუძველზეც კანონის იმპერატიული ნებისგან (ius strictum) გადახვევა სამართლიანობის

[1] ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014 გვ.377

მაღალეთიკური და მორალური ინტერესების (ius aequum) გათვალისწინების აუცილებლობით საბუთდებოდა და ხდებოდა კიდეც.“[2]

კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. კეთილსინდისიერება მოიაზრება, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების პასუხისმგებლობით მოქმედებას ერთმანეთისადმი და პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერების საფუძველზე აღმოიფხვრება კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზები.[3]

კეთილსინდისიერება გულისხმობს პატიოსნებასა და სინდისიერებას. მხარეები იღებენ ვალდებულებას, შეასრულონ საკუთარი მოვალეობები სრული პასუხისმგებლობით. ერთმანეთის მიმართ ვალდებულნი არიან მოიქცნენ მორალის ფარგლებში. იღებენ პასუხისმგებლობას, რომ არ დაუშვან ისეთი ქმედება რაც ზიანს მიაყენებს მათ სამართლებრივ შედეგებს და ეჭვქვეშ დააყენებს კეთილსინდისიერ ქმედებას.

კეთილსინდისიერება არის ნორმატიული კატეგორია, მისი კონცეფცია გამოიხატება, იმით რომ იგი არა მხოლოდ მორალური და ეთიკური პრინციპია, რომელსაც უმეტესი ნაწილი განვითარებული სამრთლებრივი სისტემა თავის თავში აღიარებს, არამედ სამართლებრივი დოქტრინაცაა, რომლის საფუძველზეც მხარეებს ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება, წარმოეშვათ ვალდებულებები და უფლებები, ან ეთქვას უარი უფლების დაცვაზე.[4]

საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს: „კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული ისე, სუბიექტური ნების

---

[2] ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1. გვ.2

[3] ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014 გვ.376

[4] ვაშაკიძე გ, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1. გვ.3

განმარტების ინსტრუმენტია . ცხადია, რომ კეთილსინდისიერება, როგორც კერძო სამართლის სუბიექტთა მოქმედების იმპერატიულად მბოჭავი პრინციპი, აისახება ამ სუბიექტის მიერ ნებისმიერი მოთხოვნის რეალიზებისა და უფლების გამოყენების შესაძლებლობაზე. მათ შორის, მხარის მიერ ხანდაზმულობის შესაგებლის უფლებით სარგებლობის, ან ჯერ კიდევ არსებული მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობაზე."[5]

„საუკუნეების განმავლობაში „კეთილსინდისიერების დათქმაზე" დაყრდნობით კერძო სამართლის არაერთი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა."[6] ერთ-ერთი მათგანია შესრულებისგან თავის შეკავების უფლება. „კეთილსინდისიერების დათქმა" პირველად გვხვდება რომის სამართლიდან. აღნიშნული დათქმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემტთხვევაში, თუ კონკრეტულ საქმეს რაიმე მოთხოვნა შეესაბამება სამართალს, მაგრამ აღნიშნული ნორმის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში უსამართლოა.

კეთილსინდისიერება არის სახელშეკრულებლო ურთიერთობების მონაწილეთა შორის ლოიალური დამოკიდებულება. მისი მიზანია რომ მხარეები იყვნენ ერთმანეთის მიმართ გულისხმიერნი და ასევე ერთამნეთის ქონებისა და უფლებების მიმართ. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დასაშვებია მხარეთა უფლებების შეზღუდვა ან ისეთი უფლების გამოყენების აკრძალვა რომელთა განხორციელების შედეგად მეორე მხარეს ადგება მორალური ზიანი, შეურაცხყოფს მის პრინციპებს ან უფლებების შელახვას გამოიწვევს.[7]

კეთილსინდისიერების პრინციპმა უნდა მისცეს მხარეებს შესაძლოებლობა, რომ მოიქცნენ უფრო დაკვირვებით და პატიოსნად ერთმანეთის მიმართ სამართლებრივ სფეროში. კეთილსინდისიერება ასევე აყალიბებს საზოგადოებაში ქცევის წესებს და ამყარებს მათ ურთიერთობებს.

---

[5] როგავა რ. 2016 კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პუბლიკაციები, 2016, გვ.29

[6] კერესელიძე დ. სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 წელი, გვ.84

[7] ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014 გვ.330

კერძო სამართლის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეკავა კეთილსინდისიერებას. განვითარებული ქვეყნების სამართალში იგი წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის „ქვაკუთხედს“. ხოლო, რაც შეეხება ქართულ სამოქალაქო სამართალს, კეთილსინდისიერების პრინციპი ზუსტად იგივე მიზანს ემსახურება, კეთილსინდისიერების როგორც სამართლებრივი ფასეულობის შემოღება. სამოქალაქო ურთიერთობებში მხარეების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული სამართლის სიმყარე და სტაბილურობა.[8]

კეთილსინდისიერება მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს და იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის.[9] ამ პრინციპზე დგას უამრავი ნორმა, რომლის გარეშეც ვერ შეძლებდა ნებისმიერი მხარე ჰქონოდა სხვა მხარეების მიმართ პატიოსნად მოქცევის მოთხოვნის უფლება.

სსკ-ს 361-ე მეორე მუხლის საფუძველზე ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად. აღნიშნული მუხლი წარმოადგენს იმ კანონისმიერ მოთხოვნას, რომელიც გულისხმობს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაილეების მიერ სხვა მონაწილის ინტერესთა პატივისცემას და პასუხისმგებლობის გათავისებას. ასევე იმის გააზრებას, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს როდესაც ვალდებულება არ ეკისრება, მაინც სცეს პატივი მეორე მხარეს და იყოს მის მიმართ კეთილსინდისიერი. მაგალითად, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზეც კი, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება და მისი აზრის პატივისცემა საჭიროა ამ ურთიერთობის

[8] ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014 გვ.376

[9] ჭანტურია ლ. ბოლო დამუშავება, თბილისი, 2015

ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება ყოველთვის კმაყოფილი. კრედიტორი მიიღებს ვალდებულებას რაც მოვალეს უნდა შეესრულებინა, ხოლო მოვალე გათავისუფლდება ვალდებულების შესრულებით.[10]

კეთილსინდისიერება არის ის ფუძე, რაზეც დგას მთელი სამართლებრივი ურთიერთობები. კეთილსინდისიერება მოითხოვს მხარეებს შორის სტაბილურობის შენარჩუნებას, ერთმანეთის მიმართ პატივისცემის გამოხატვას, კეთილსინდისიერად ქცევის მოვალეობას, ვალდებულების პატიოსნად შესრულებას, რაც საჭიროა სამოქალაქო ურთიერთობის სიმყარისთვის.

„კეთილსინდისიერების პრინციპი უნდა განვასხვავოთ კეთილსინდისიერებისაგან სუბიექტური გაგებით. მაგ: ქართულ სანივთო სამართალში ცნობილია ე.წ. კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელობა. კეთილსინდისიერად ითვლება მფლობელობა, როდესაც მფლობელმა არ იცოდა და მას არც უნდა სცოდნოდა, რომ პირს, ვისგანაც მან მიიღო ნივთზე მფლობელობა, არ ჰქონდა ნივთის გასხვისების უფლებამოსილება. არაკეთილსინდისიერია მფლობელობა, როდესაც მფლობელმა მფლობელობის შეძენის მომენტში იცოდა თავისი მფლობელობის ნაკლის შესახებ ან მან აღნიშნულის შესახებ არ იცოდა უხეში გაუფრთხილებლობით (163-ე მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნულია: „1. კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს. ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს თავის ამ უფლებას, ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის მფლობელს“). კეთილსინდისიერებაზე სუბიექტური გაგებით არის საუბარი ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლში: „შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე, მაშინაც როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ

[10] ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014 გვ.379

იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე“. ამდენად, კეთილსინდისიერება სუბიექტური გაგებით სახეზეა, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ არ იცის (და არც უნდა იცოდეს) იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოების, უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილის განსაზღვრული უფლებამოსილების შესახებ.”[11]

ზემოთ აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ კეთილსინდისიერებას აქვს უმთავრესი როლი ნივთის შეძენის შემთხვევაში. კეთილსინდისიერების ფაქტის დადგომის გარეშე შეუძლებელია ჩაითვალო ნივთის მფლობელად. ამ პრინციპზე იგება ის გარემოებები, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა გამყარდება მხარეებს შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლშის საფუძველზე კეთილსნდისიერების შემთხვევაში ნივთი შემძენის მფლობელობაშია თუ მფლობელი კეთილსინდისიერია, სწორედ აქედან გამომდინარე, ვასკვნით რომ, მხარეების მფლობელობის სამართლებრივი ურთიერთობაც კი ამ პრინციპზეა აგებული.

კეთილსინდისიერების პრინციპის პრაქტიკაში გამოყენება არის ეფექტურია და ამასთანავე სარისკოც. ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც იცავს მხარეებს სამართლიანი მოლოდინისთვის და მათ შორის აყალიბებს ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებს , ხელს უწყობს სოციალური და ადამიანური ელემენტების ყურადღების გამახვილებას და წინა პლანზე წამოწევას. ეს მხარეთა ურთიერთობებს ხდის ეკონომიურს და არაფორმალურს, რადგან ისინი არ არიან იძულებული, ყველა დეტალი გაითვალისწინონ ხელშეკრულებებში. ხოლო მეორე მხრივ, ამ პრინციპის არასწორმა წარმოდგენამ შეიძლება შეუქმნას საფრთხე მხარეთა ერთობლივ უსაფრთხოებას. ობიექტური შეხედულებით, bona fide მხარეთა ინტერესებზე ორიენტირებული და სამართლებრივი სინაარსისაა, თუმცა იგი აბსტრაქტული და ზოგადი ხასიათისაა. რის მიხედვითაც აუცილებელი ხდება კონკრეტულ შემთხვევაში მისი დაკონკრეტება მოსამართლის მიერ. ეს კი დიდ ყურადღებას და ძალისხმევას მოითხოვს, რადგან მოსამართლის მიერ გაგებულმა

[11] ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2009, გვ.131

სამართლიანობამ და მის მიერ კეთილსინდისიერების არსზე შეხედულებამ მხარეთა სამართლებრივი ინტერესები არ შელახოს.[12]

კეთილსინდისიერების პრინციპის მრავალმხრივობის გამო სამოსამართლო სამართალში იგი ხშირად გამოიყენება სამართლიანი შედეგების მისაღწევად ან უსამართლობის თავიდან ასაცილებლად.[13] კეთილსინდისიერება სამართლის უნიკალურობის საფუძველს წარმოადგენს, ვინაიდან ამ პრინციპზეა დამოკიდებული სამართლის ის ნორმები, რაც პირველ რიგში მიგვითითებს ზნეობაზე და მხარეებს შორის პატივისცემაზე. ეს არის უმთავრესი რგოლი სამართლის სისტემისთვის, რაზეც დამყარებულია მთელი რიგი კანონიერი ქმედებები. კეთილსინდისიერება გვეხმარება რომ ავირიდოთ ის უსამართლობა, რასაც სამართლებრივ ურთიერთობებში ხშირად ვაწყდებით.

კეთეილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონდმებლობაში უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება გულისხმობს მიუკერძოებლობას, გულწრფელობას, სამართლიანობას, ობიექტურობას, გულახდილობას, ერთგულებას, და სხვა.[14]

კეთილსინდისიერების პრინციპის აღიარება თანამედროვე სამართლებრივი წესრიგისათვის სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველია. ამ პრინციპის შედეგად კონკრეტდება პირის ის სამართლებრივი მოქმედების თავისუფლების ფარგლები, როდესაც შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს ან სამართლებრივი ურთიერთობიდან.[15]

კეთილსინდისიერება ნდობაზეა დამყარებული, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს უნდა სჯეროდეს ერთმანეთის. ამ ნდობის გარეშე კი შეუძლებელია იმ ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც სამართლებრივ სწორ

---

[12] ვაშაკიძე გ, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1. გვ.3

[13] ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014 გვ.330

[14] იქვე, გვ.377

[15] კერესელიძე დ. სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ.83

შედეგს მოიტანს. სწორედ ეს პრინციპი გვიქმნის ნდობის უმთავრეს მიზეზს მეორე მხარისადმი.

„კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა. პირი ცალკეულ შემთხვევაში „კეთილსინდისიერად მიჯნავს სამართლიანს უსამართლოსგან და თავის ქცევას სამართლიანობის კრიტერიუმს შეუსაბამებს. მას უნდა სწამდეს, რომ სამართლიანად იქცევა, ანუ ისე, როგორც ამას ობიექტური დამკვირვებელი თუ მიუკერძოებელი პირი სამართლიანად შეაფასებდა. სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპს დაქვემდებარებული მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარეობს სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.“[16]

აქედან გამომდინარე ვასკვნით რომ, ის პირდაპირ ურთიერთკავშირშია სამართლის მაღალი სტანდარტების გამყარებისთვის. ის აღმოფხვრის იმ არამართლზმიერ ქმედებას, რაც არ უნდა არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შორის. ხელს უშლის მხარეებს დაუშვან ის შეცდომები რაც გასცდებაა მორალის ფარგლებს, ხოლო თუ მხარე მაინც გასცდა ამ ფარგლებს, ის დაცული იქნება, რადგან კანონი დაიცავს მას არამართლზომიერი და არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქციაა უსამართლო შედეგის თავიდან აცილება. მისი მიზანია სამართლიანი შედეგების დადგომა. ამ პრინციპის შედეგია სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობა და სიმყარე.[17]

კეთილსინდისიერება არის ის სამართლებრივი მთავარი „რგოლი“, რაზეც უამრავი სამართლებრივი ურთიერთობა მყარდება. კეთილსინდისიერების

[16] კერესელიძე დ. სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 წელი, გვ.83
[17] ჭანტურია ლ. ბოლო დამუშავება, თბილისი, 2015

პრინციპი ავალდებულებს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეეებს სწორი და მართლზომიერი ქმედებისკენ და ხელს უშლის ისეთ ქმედებას, რაც გასცდება ამ პრინციპს და შეილახება პირთა უფლებები.

1.2. კეთილსინდისიერების პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

კეთილსინდისიერების პრინციპის ევოლუციის საკითხის განხილვა უნდა დავიწყოთ უახლოესი წარსულიდან, რადგან საქართველო მცირე ხანია, რაც საბჭოთა სამართლებრივი სივრციდან გამოვიდა. კეთილსინდისიერების შესახებ დათქმა იყო უარყოფილი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიერ იმ მიზეზით, რომ კეთილსინდისიერების შესახებ დათქმა ადგენს სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისას თავისუფლების კერძო სამართლებრივ ფარგლებს, უზრუნველყოფს კერძო ინტერესების ბალანსს, ხოლო, რაც შეეხება, საბჭოთა სისტემისათვის ეს ფარგლები უცხო იდეოლოგიად მიიჩნეოდა, ისევე, როგორც კერძო უფლებებისა და ინტერესების არსებობა. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების თავისუფლების არსებობაც არ იყო სავალდებულო. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერების შესახებ დათქმაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ კეთილსინდისიერება საერთოდ არ გამოიყენებოდა საბჭოთა სამართალში. კეთილსინდისიერება არსებობდა საბჭოურ სამოქალაქო სამართაშიც და იგი არ გვხდვება მხოლოს დღევანდელ სამოქალაქო კოდექსში, თუმცა საბჭოთა დროს აღნიშნული კატეგორია, გამოიყენებოდა მხოლოს მაშინ, როდესაც წყდებოდა შემძენის კეთილსინდისიერების საკითხი სავინდიკაციო სარჩელის განხილვის დროს. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერების ყველა კვლევა ძირითადად ეხებოდა მხოლოდ უკანონო მფლობელობის კეთილსინდისიერებას. საბჭოთა პერიოდში კეთილსინდისიერების პრინციპს ვალდებულებით სამართალში ცვლიდა მთლიანად მისი ანალოგი სამოქალაქო ვალდებულებებისა და მოვალეობის განხორციელების დროს.[18]

საბჭოთა სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერებას მცირე ადგილი უჭირავს სამოქალაქო ურთიერთობებში. კეთილსინდისიერება ძირითადად ეხებოდა უკანონო მფლობელობის საკითხს, თუმცა ისიც საკმაოდ

[18] ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბ., 2016. გვ.34

მნიშვნელოვანია, რომ რაღაც დოზით არსებობდა კეთილსინდისიერების მნიშვნელობა, შემდეგ კი დროსთან ერთად მისი როლიც გაიზარდა.

კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ ჩაუყარა ვიდრე ეს პრინციპი აისახებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. კონსტიტუციის 44-ე მუხლის თანახმად, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები". ამით კონსტიტუცია მიუთითებს სამართლის მხარეებს რომ არ შელახონ სხვათა უფლებები საკუთარი ქმედებისა და ინტერესების ხარჯზე. კონსტიტუცია ავალდებულებს პირებს რომ სხვათა უფლებების არ შელახვა დააყენონ იმაზე უფრო მაღლა, ვიდრე საკუთარი ინტერესებია. კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის გადმოცემული კეთილსინდისიერების პრინციპი, მაგრამ აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე ნათლად ჩანს ის საკითხი, რომ კეთილსინდისიერი ქმედება მოიაზრება როგორც, ერთგულება, მზრუნველობა, პატიოსნება, გულისხმიერება, სხვების ინტერესების გათვალისწინება.[19]

საქართველოს კონსტიტუცია იყო პირველი, სადაც კეთილსინდისიერებას ჩაეყარა საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსამდე. მისი პირდაპირი მნიშვნელობა არ ჩანს, თუმცა მხარეებს მიუთითებს ამ პრინციპის გასათვალისწინებლად. ზემოთ აღნიშნულ მუხლში ნათლად ჩანს კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება. პირი ვალდებულია განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც არ შელახავს მეორე მხარის ინტეესებს.

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილს: „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი". აღნიშნული მუხლი არის ზოგადი ხასიათის, რომლის დეტალიზებაც სამოქალაქო კოდექსის სხვა მუხლებშიც გვხვდება. ასევე მნიშვნელოვანია სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის საფუძველზე, „ვალდებულება უნდა შესრულდეს

[19] ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბ., 2016. გვ.36

ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“. ამ მუხლების მოქმედება არის ცალსახა და იმპერატიული და მხარეებს არ აქვთ უფლება, გამირიცხონ ეს ქმედება რაიმე ხელშეკრულებით ან შეთანხმებით. სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი კერძო სამართლის ზოგადი პრინციპია, რაც მის „სამოქალაქო ურთიერთობებზე“ მითითებაც ადასტურებს. აღნიშნული მუხლი არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა სახის უფლება-მოვალეობის შესრულებას გულისხმობს, შესაბამისად კანონის ეს მითითება უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულებად უნდა აღვიქვათ. კეთილსინდისიერების პრინციპი არის მოცემული ზოგადი დებულების სახით მე-8 მუხლის მესამე ნაწილში, სსკ-ს 361-ე მუხლი კი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას როგორც ვალდებულების ძირითად ნაწილს და ეს მუხლი შემოიფარგლება ვალდებულების შესრულებით.[20]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კეთილსინდისიერებას აღიარებს როგორც ვალდებულების ნაწილში, ისე მთელი სამოქალაქო სამართლის პრინციპად. სსკ-ს მე-8 მუხლის მეორე ნაწილი და 361-ე მუხლის მეორე ნაწილი წარმოადგენს იმ ნორმებს, რომლებითაც კეთილსინდისიერების საერთო პრინციპები ჩანს. მხოლოდ მე-8 მუხლიმუხლიდანაც ნათლად ჩანს რომ ნებისმიერი ურთიერთობა კეთილსინდისიერებაზეა აგებული. ეს მუხლები სამოქალაქო კოდექსში „მეფურ მუხლებს“ წარმოადგენენ. რომელთა შესრულებაზეა დამოკიდებული სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობა. ეს ნორმები, ასევე, სამოქალაქო კოდექსის „ღია ნორმებს“ წარმოადგენენ, რომელთა დაკონკრეტებაც ზოგჯერ კერძო ურთიერთობაზე დამყარებულ ნორმებშიც გვხვდება.[21]

კეთილსინდისიერების პრინციპი ამოსავალი და ფუნდამენტალური ქცევის პრინციპია და არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრლებო სამართლით, ის

---

[20] ვაშაკიძე გ, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1 გვ.13

[21] ზოიძე ბ. ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე, თბილისი, 200,. გვ.270

გვხვდება ზოგად სამართლებრივ ურთიერთობებშიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილიდან, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი არიან ვალდებულნი კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. კეთილსინდისიერების პრინციპთან შესაბამისი პრინციპია უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის პრინციპი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი).[22] სსკს- 115ე მუხლის მიხედვით, „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.[23]

ზემოთ აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და საქართველოს კონსტიტუციაში ვხვდებით კეთილსინდისიერების პრინციპის ზოგად დახასიათებასა თუ მსგავსი შინაარსის პრინციპისადმი მითითებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კონსტიტუცია სამართლის თითოეულ მხარეს ავალდებულებს მოიქცნენ ერთმანეთის მიმართ პატივისცემითა და გულისხმიერებით. არ შელახონ სხვათა უფლებები საკუთარი უფლების ინტერესისა თუ მიზანის განხორციელებისთვის. ვალდებულები არიან მოიქცნენ კეთილსინდისიერების ქმედების ჩარჩოებში, რათა თავადაც დაცულნი იყვნენ არამართლზომიერი ქმედების შედეგისათვის. ასევე ეს პრინციპი იცავს დაზარალებულ მხარეს, რომელსაც შეელახა სხვა პირისგან ის უფლებები რაც ამ პრინციპის ფარგლებში მოიაზრება. კეთილსინდისიერება სამოქალაქო სამართალში სხვა ნორმების საფუძველია.

„კეთილსინდისიერების ქცევის შეფასების მეორე ობიექტური კრიტერიუმს წარმოადგენენ სამოქალაქო ბრუნვის წეს-ჩვეულებანი (Verkehrsitte), რომლებიც საზოგადოებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოიყენება და საყოველთაოდ მიღებულია, „თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს“ (სსკ-ის მე 2მუხლი). ამ მოსაზრებას გარკვეულწილად სსკ-ის 339-ე მუხლიც („სავაჭრო ჩვეულებები და

[22] ჭეჭელაშვილი ზ, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, გვ.130
[23] სსკ-ს 115-ე მუხლი

ტრადიციები“) განამტკიცებს. აქვე უნდა გავმიჯნოთ ბრუნვის წეს-ჩვეულებანი ჩვეულებითი სამართლისაგან. ჩვეულებითი სამართალი სამართლის უშუალო წყაროა, რომლის დარღვევის შემთხვევაში, ისევე როგორც კანონის დარღვევისას, სამართლებრივი სანქციები გამოიყენება. მისგან განსხვავებით, ბრუნვის წეს-ჩვეულებებს მხოლოდ სოციალური მოქმედების პრეტენზია გააჩნიათ (დარღვევა იწვევს სოციალურ სანქციებს) და მათი იგნორირება მხოლოდ მაშინ იწვევს სამართლებრივ შედეგებს, თუ ეს კეთილსინდისიერების ან სხვა კერძოსამართლებრივ პრინციპს ეწინააღმდეგება. ბრუნვის წეს-ჩვეულებებისაგან განსხვავდება ასევე სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები. ეს უკანასკნელი ბრუნვის წეს-ჩვეულებათა სპეციალურ კატეგორიად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ისინი კონკრეტულ წრეს- კომერსანტთა წრეს განეკუთვნებიან და განსაზღვრულ გარემოში მოქმედებენ. შესაბამისად, მათ არ გააჩნიათ ზოგადი ხასიათი და საზოგადოებრივი აღიარება (opinio necessitates), მათით მხარეები მხოლოდ მაშინ იბოჭებიან, თუ ამას პირდაპირ მიუთითებენ ხელშეკრულებაში, ან ისინი ვაჭართა გილდიას მიეკუთვნებიან, სადაც ეს ტრადიციები მოქმედებს. სავაჭრო ტრადიციები მხოლოდ ხანგრძლივი გამოყენებისა და აპრობაციის შედეგად იქცევიან საყოველთაო ბრუნვის ჩვეულებებად. ჩვენთვის მნიშვნელობის მქონე ძირითადად ის განსხვავებაა, რომ, ბრუნვის წეს-ჩვეულებათა საზოგადო ხასიათის გამო, მათი დაცვა ყველა ურთიერთობაში და ყველას მიერაა აუცილებელი, მაშინ, როცა სავაჭრო ტრადიციების გათვალისწინება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა გარკვეული კატეგორიისათვის მხოლოდ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ხდება.“[24]

რაც შეეხება ბრუნვის წეს-ჩვეულებების დარღვევას, ის მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სამართლებრივ შედეგს, როდესაც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერებას. აქაც ვხედავთ კეთილსინდისიერების არსებობის მნიშვნეობას. მათი დაცვა სავალდებულოა ყველას მხარის მიერ.

[24] ვაშაკიძე გ, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 10/2007-1 გვ14

კეთილსინდისიერებაზე დაყრდნობით იქმნება ის სამართლიანი შედეგი რაც თითოეული მხარისთვის მნიშვნელოვანია.

1.3. კეთილსინდისიერება ევროპის სამართალში

მე-17 და მე-18 საუკუნის ფრანგი იურისტები კეთილსინდისიერებას განმარტავდნენ, როგორც საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის სისტემის ერთ-ერთ ძირითაი პრინციპი. მე-19 საუკუნეში სამოქალაქო სამართლის პირველი კოდიფიცირებული აქტი, საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი იყო სადაც აისახა კეთილსინდისიერების პრინციპი. ფრანგი იურისტის დომას აზრით, „ყოველმა ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს მოცემული დანაწესით თავისი ვალდებულების შესრულების დროს“. ასევე ფრანგი იურისტი პოტიე „ვალდებულების შესახებ“ ტრაქტატში ხაზს უსვამდა იმ დებულებას, რომ ხელშეკრულების დადებისას სახელშეკრულებო კეთილსინდისიერება კრძალავს მოტყუებას ნებისმიერი სახით და დამალვას იმის, რაშიც დაინტეესებულია პირი, რომელთანაც იდება რაიმე ხელშეკრულება. მაგალითად, კეთილსინდისიერების საწინააღმდეგოა საკუთარი მიზნების და სურვილების გამორჩენით იმ ფაქტების დამალვას, რომლებიც მნიშვნელოვანი არის მეორე მხარისათვის. დასახელებული ფრანგი ავტორების მოსაზრებით, მეორე მხარის მიმართ ვალდებულებითი ურთიერთობის დროს გულწრფელობა, ერთგულება, პატიოსნება და ასევე დამალვის და მოტყუების აკრძალვა საფუძვლად უდევს კეთილსინდისიერებას.[25]

კეთილსინდისიერებააზე მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ვარაუდობდნენ, რომ კეთილსინდისიერება „ფრანგული სამართლის მკვდარი პრინციპია“.[26] ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმები, ვინაიდან კეთილსინდისიერების გარეშე არ არსებობს ის სახელშეკრულებო ურთიერთობები, სადაც საკითხი ეხება მართლზომიერ ქმედებას. მართალია საზოგადოებას თავად უნდა ჰქონდეს

[25] ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბ., 2016. გვ.16
[26] იქვე: გვ17

ქვეცნობიერში და ქცევის ზოგად წესშიც კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება, თუმცა მისი ხაზგასმაც აუცილებელია, ვინაიდან თავი ავარიდოთ იმ ცუდ შედეგებს, რაც შეიძლება მის არ არსებობას მოჰყვეს. როდესაც კეთილ ზნეს ვცდებით და საქმე ეხება ტყუილს, სხვის ინტერესის არ გათვალისწინებას, არამართლზომიერ და არასინდისიერ ქმედებას, მაშინ ხომ უკივე გვესაჭიროება კეთილსინდისიერების პრინციპი რათა თავიდან ავირიდოთ ყოველივე ეს ქმედებები. აქედან გამომდინარე კეთილსინდისიერება ვერ იქნება „მკვდარი პრინციპი". თუმცაღა ეს დებულება შეიცვალა დროთა განმავლობაში ბევრი სასამართლო პრაქტიკისა და მკვლევარების მიერ.

„საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ ითხოვს შეთანხმებების (ხელშეკრულებების) კეთილსინდისიერად შესრულებას. იმავე პრინციპს განავრცობს შემდეგი მუხლის, კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1135-ე მუხლის თანახმად, შეთანხმებები (ხელშეკრულებები) ავალდებულებს, არა მარტო იმით, რაზეც მხარეები პირდაპირ შეთანხმდნენ, არამედ ასევე იმ შედეგებით, რომლებსაც სამართლიანობა, ჩვეულება ან კანონი ითვალისწინებს ვალდებულებისათვის ამ უკანასკნელის ბუნების შესაბამისად. იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1175-ე მუხლი კეთილსინდისიერების ნორმების შესაბამისად მოქმედებას პირდაპირ ავალდებულებს როგორც მოვალეს, ისე კრედიტორს."[27]

გერმანული სამართლის სისტემებში bona fides-მა საგრძნობი გავლენა იქონია მთელ სამართლებრივ სისტემაზე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფის მიხედვით, „მოვალე ვალდებულია შესრულება განახორციელოს კეთილსინდისიერად, როგორც ამას ბრუნვის ჩვეულებები მოითხოვს." კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულება ეკისრება არა მხოლოდ მოვალეს, არამედ კრედიტორსაც, რომელიც შესაძლოა უარი ეთქვას მას დაცვაზე და შეიზღუდოს საკუთარ უფლებებში, თუკი შეეცდება ამ უფლების ბოროტად გამოყენებას. კეთილსინდისიერების პრინციპი გერმანულ დოქტრინაში

[27] ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, გვ.132

აღიარებულია „სამეფო ნორმად“, რომელიც სხვა სამართლის ნორმების ზეგავლენას ახდენს.[28]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის საფუძველზე, კეთილსინდისიერების პრინციპი ზეგავლენას ახდენს მთელ სამართლის სისტემაზე. ეს შესაძლებელს ხდის, დაწერილ კანონმდებლობაში არსებული შეხედულებები შემუშავდეს დ მათგან წარმოიშვას უკვე ახალი ქცევის წესები. სწორედ კეთილსინდისიერების დიდი მნიშვნელობის გამო დაიმკვიდრა ნორმამ „მეფის“ სახელი გერმანიის სამოქალაქო კოდექსში. ასე რომ, მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, რომ გსკ-ის 242-ე მუხლი მხოლოდ ვალდებულების შესრულებაზე ვრცელდება.[29] გერმანიის სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული ნორმა ზეგავლენას ახდენს სხვა ნორმებზე, რომელიც ეხება კეთილსინდისიერების ვალდებულებას ან მასთან მჭიდრო კავსირშია. სწორედ ეს „სამეფო“ ნორმა არის გერმანიის სამართლის უმთავრესი საყრდენი.

„შვეიცარიის სამართალში კეთილსინდისიერების კოდექსში (Scheizerisches Zivilgesetzbuch) და არა ვალდებულებით კანონში (Oblogationenrecht). შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი ვალდებულია, თავისი უფლებებით სარგებლობისას და ვალდებულებების შესრულებისას იმოქმედოს კეთილსინდისიერად.“[30] შვეიცარიის სამართალსაც კეთილსინდისიერება ზუსტად იგივე ასპექტში ესმის, რაც სხვა დანარჩენ განვითარებულ ევროპის ქვეყნებს, რომ ყოველი პირი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერების ფარგლებში. კეთილსინდისიერება შვეიცარიის სამართალშიც უმთავრესი პრინციპია.

კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებაში, ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი, ითხოვს კრედიტორსა და მოვალეს შორის გონივრულობასა და სამართლიანობას. კანონის, ჩვეულებისა თუ გარიგების ძალით შემბოჭველი

---

[28] ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014. გვ.378

[29] იქვე, გვ330

[30] ჭეჭელაშვილი ზ, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, გვ.133

ვალდებულება ნამდვილია მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს არის მისაღები აღნიშნულ გარემოებებში სამართლიანობიდან გამომდინარე.[31]

რაც შეეხება ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი (6:2:1) მხარეებს სთხოვს არა მარტო ერთმანეთის მიმართ კეთილსინდისიერ მოპყრობას, არამედ მესამე პირთა მიმართაც. ამავე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, „არ გამოიყენება ის წესი, რომელიც კანონით, სავაჭრო ჩვეულებებისა და მხარეთა გარიგების თანახმად, უნდა გამოყენებულიყო, თუ მისი გამოყენება მოცემულ შემთხვევაში კეთილსინდისიერების მოთხოვნებს ეწინააღმდეგება“. ამგვარი დამოკიდებულება ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში მიუთითებს მოსამართლის ინსტიტუტისადმი განსაკუთრებულ დაყრდნობასა და ნდობაზე.[32]

საერთო სამართლის სისტემაში პოზიციები გაყოფილია. ირლანდიისა და ინგლისის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა არ ცნობს კეთილსინდისიერების პრინციპს და არც შესაბამისი დოქტრინა გააჩნია. მისთვის მთავარია სამართალი დარჩეს ნათელი და დაცული იყოს მოულოდნელობებისაგან.[33]

ინგლისს სხვა ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით კეთილსინდისიერების მიმართ აქვს უარყოფითი დამოკიდებულება. ინგლისის სამართალში არ არის კეთილსინდისიერების ცნება. სტეინის აზრით: „კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ არ უნდა მივცეთ მეტისმეტად დიდი ზნეობრივი შინაარსი კეთილსინდისიერების კატეგორიას და ის უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების წარმოდგენებსა და ჩვეულებებს.“[34]

„ინგლისთან შედარებით კეთილსინდისიერების პრინციპს მეტი ყურადღება ექცევა აშშ-ის სამართალში. ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი (uniform commercial code, UCC), რომელიც ამერიკის ორმოცდაათ შტატში მოქმედებს, ადგენს, რომ „ყოველი ხელშეკრულება თუ ვალდებულება, რომელიც ამ კოდექსის მიხედვით

---

[31] ჭეჭელაშვილი ზ, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, გვ.133

[32]ვაშაკიძე გ, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 10/2007-1. გვ.8

[33] იქვე, გვ.10

[34] Steyn J., The Role of Good Faith and Fair Dealing in Contract Law: A Hair-Shirt Philosophy? Denning. Law Journal. Vol. 6., 1991,141.

წარმოიშობა, უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად“ (obligation of good faith, section 203). კანონმდებელი ერთმანეთისაგან მიჯნავს კომერსანტისა და არაკომერსანტის კეთილსინდისიერების მასშტაბს, რაც განსაკუთრებულ ორიგინალობას სძენს კეთილსინდისიერების „ამერიკულ“ გაგებას. არაკომერსანტი უნდა მოქმედებდეს იმგვარად პატიოსნად, როგორც ეს უშუალოდ ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარეობს (Section-2-201, 19). რაც შეეხება კომერსანტს, მის მიმართ კანონის მოთხოვნა უფრო მკაცრია: გარდა იმისა, რომ ის უნდა მოიქცეს პატიოსნად, მან უნდა გაითვალისწინოს ის გონივრული სავაჭრო წეს-ჩვეულებანი, რომელიც მხარეთა შორის კეთილსინდისიერი თანამშრომლობის (fair dealing) წესებს განსაზღვრავენ (Section-2-107).“[35]

კანადისა და ავსტრალიის სამართლის სისტემებში ამერიკული გამოცდილების ზეგავლენა იგრძნობა. იზრდება კეთილსინდისიერების პრინციპის როლი სამართლის სისტემაში და რა თქმა უნდა სასამართლო გადაწყვეტილებებშიც.[36]

კეთილსინდისიერების პრინციპი აისახება ასევე ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში. 1:201-ე მუხლის თანახმად, „თითოეული მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების პრინციპების მიხედვით.“ ეს დებულებანი კი განხილულია ძირითადად ვალდებულების შესრულებასთან მიმართებაში.[37]

„კეთილსინდისიერების პრინციპი განსხვავებული ვერბალური და შინაარსობრივი კონიუნქტურით ჩადებულია ასევე ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს სამოქალაქო თუ სავაჭრო კოდექსებში, მათ შორის, ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის (BW) 6: მე-2 და 6: 248-ე, იტალიის სამოქალაქო კოდექსის (codice civile) 1375-ე, 1175-ე, საბერძნებით სამოქალაქო კოდექსის 288-ე, საფრანგეთის, ბელგიისა და ლუქსემბურგის სამოქალაქო კოდექსების (code civil)

---

[35] ვაშაკიძე გიორგი, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 10/2007-1. გვ.11

[36] იქვე, გვ.12

[37] ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, გვ.378

1134-ე, ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის (codigo civil) მე-7 და სავაჭრო კოდექსის 57-ე მუხლებში.“[38]

მთელი რიგი ჩამონათვალი ქვეყნებიდან ერთადერთია ინგლისი, სადაც კეთილსინდისიერებას არ ექცევა დიდი ყურადღება. მათი აზრით მას არ უნდა მიეცეს დიდი განმარტება და მნიშვნელობა სამართალში და ის საზოგადოების წარმოდგენებს უნდა მივანდოთ. რაც შეეხება დანარჩენ, სხვა ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში კეთილსინდისიერებას უდიდესი როლი უკავია. ეს პრინციპი ფართოდ აღიარებულია, რომელიც რომიდან იღებს სათავეს, შემდეგ კი ჰპოვა აღიარება საფრანგეთსა და სხვა დანარჩენ ქვეყნებში. კეთილსინდისიერება არის ის პრინციპი, რომელსაც განვითარებული სამართლის ქვეყნები ეყრდნობიან.

„კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულია აგრეთვე კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (international institute for the Unification of Private Law-UNIDROIT) მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპების (principles of International Commercial Contracts) 1.7 მუხლშიც, კრძოდ, „თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო-სავაჭრო პრაქტიკაში მიღებული კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი საქმოსნური პრაქტიკით. მხარეებს არა აქვთ უფლება, გამორიცხონ ან შეზღუდონ აღნიშნული ვალდებულება.“[39]

---

[38] ვაშაკიძე გ, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 10/2007-1. გვ.8

[39] ჯუღელი გ, (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014. გვ.378

თავი 2. კეთილსინდისიერების ფუნქცია

ავტორთა უმრავლესობა კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნქციის განსაზღვრისას იყენებს საკუთარ სქემას და იყენებენ ამ ფუნქციებთან მიმართებაში სხვადასხვა ტერმინოლოგიას, მაგალითად მედიკუსმა წინა პლანზე წამოწია დაკონკრეტების შევსების შეცვლის ანუ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ფუნქციები.[40]

„კეთილსინდისიერების პრინციპის, ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით კი გერმანიისა და ჰოლანდიის, იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით სამი ფუნქცია აკისრია:

1. ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე;
2. კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულებლის პირობათა (რომელიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატებითი ფუნქცია;
3. აქვს გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქციები.“[41]

მრავალ ქვეყანაში არსებობს სამართლის ის ნორმები, სადაც აღნიშნული ფუნქციების შესახებ პირდაპირაა მითითებული. მაგალითად, გსკ-157-ე პარაგრაფი შეიცავს შემდეგ ნორმას: „ხელშეკრულებები უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბრუნვის ჩვეულებების მხედველობაში მიღებით.[42]

ქართულ სახელშეკრულებლო სამართალში გამოყოფენ რამდენიმე კეთილსინდისიერების ფუნქციას: პირველი ეს არის, კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შევსების ფუნქცია მეორე, დამატებითი

---

[40] ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N3(27), თბილისი, 2014, გვ 66

[41] იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, გვ.19

[42] იქვე, გვ.19

ვალდებულების შესრულების ფუნქცია, ხოლო მესამე ხელშეკრულების კორექტირების ანუ შეცვლის ფუნქცია. ნაშრომში თითოეული ეს ფუნქცია ცალ-ცალკეა განიხილული.

2.1. ხარვეზის შევსების ფუნქცია

ამ ფუნქციის განსაზღვრისთვის საჭიროა გავაკეთოთ შედარებითი ანალიზი ქართულ სამართალსა და უცხოელ ავტორთა მოსაზრებების გათვალისწინებით. მაგალითად, დიეზ-პიკაზო ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1258-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე კეთილსინდისიერების ფუნქციას განმარტავს:“ არ არის სავალდებულო ხელშეკრულების პირობები ზუსტად ასახავდნენ ხელშეკრულების მხარეთა ნებას. ხელშეკრულების შევსება იმიტომ კი არ ხდება, რომ ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ხარვეზი დაუშვეს.“ ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ მხარეთა ნების მიუხედავად, მხარეებისათვის დაწესებული იქნეს განსაზღვრული ქცევის წესები. ამ დებულების მიზანია უფლების გამოყენების შესაძლებლობაზე და ვალდებულების შესრულების ჰარმონიზება.[43]

„მიუნხენის კომენტარებში აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერება თავისი ფუნქციით სამართლის განვითარებას ემსახურება და წარმოადგენს სამართლის განვითარების საკვანძო კატეგორიას მოსამართლეთათვის. სასამართლო მას იყენებს მაშინ, როცა შეუძლებელია გადაწყვეტილება დაეფუძნოს ხელშეკრულებას ან სამართლის ნორმას. ამდენად, კეთილსინდისიერება თავისი ფუნქციის მიხედვით შეესატყვისება შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლს „ მოსამართლე ვალდებულია ... გადაწყვიტოს იმ წესის შესაბამისად, რომელსაცი იგი დაადგენდა, კანონმდებელი რო ყოფილიყო.“ კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილება მიიღება ერთ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით და მხარეთა კონკრეტული

[43] ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ თბილისი, N3(27), 2014, გვ.67

ინტერესების გათვალისწინებით, კეთილსინდისიერება არის ე.წ. „სამართლიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“. მეორე მხრივ, ცალკეული შემთხვევის საფუძველზე შეიძლება განზოგადებული იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებები (რომლებიც სხვა პრინციპებისგან განსხვავებით გამონაკლისს არ უშვებენ) იმ მიზნით, რომ ისინი გამოყენებულ იქნეს არამხოლოდ რომელიმე კონკრეტული, არამედ მრავალი მსგავსი შემთხვევის მიმართაც. როდესაც მხარეებმა ხელშეკრულებაში ვერ ან არ გაითვალისწინეს გარკვეული პირობები, ხოლო მათი შევსება სპეციალური ნორმებით არ არის გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მხარეთა განზრახვა, ხოლო თუ აღნიშნული არ დგინდება, მაშინ „მაშველ რგოლად“ სასამართლოს უნდა მოევლინოს კეთილსინდისიერების პრინციპი.“[44]

მაგალითი:

ფრენშაიზის მიმცემის საქოონლის რეალიზაცია როდესაც ევალება ფრენშაიზის მიმღებს, მას არ აქვს უფლება განახორციელოს იგივე საქმიანობა შეწყვეტის დღიდან, რაღაც დროის განმავლობაში. ხელშეკრულებაში კი ნათქვამი არაა აკრძალვის ფარგლების შესახებ, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სწორი იქნება განისაზღვროს, რომ აკრძალვა ამ საქმიანობაზე შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ტერიტორიით, რომელზეც ფრენშაიიზის მიმღები იყენებს თავის უფლებას საქონლის რეალიზაციის შესახებ.[45]

აქედან გამომდინარე, ვასკვნით რომ, ხარვეზის შევსების ფუნქცია ხდება მაშინ, თუ მხარეებმა ვერ განსაზღვრეს ხელშეკრულებაში გარკვეული გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი საკითხები, და ასეთი ნორმები არ გვხვდება კოდექსში ამ შემთხვევაში სასამართლო მოიშველიებს კეთილსინდისიერების პრინციპს. მხარეებს და სასამართლოს აძლევს ეს ფუნქცია

[44] ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N3(27), თბილისი, 2014, გვ.68
[45] იქვე, გვ.68

შესაძლებლობას უფრო ფართოდ და სამართლიანად შესრულდეს მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები.

„აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, თეორეტიკოსები ვერ ხედავენ პრობლემას კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტების და გამოყენების საკითხში, პრაქტიკა ასეთი ერთსულოვანი არ არის კონვეციის ნორმების გამოყენებისას. განსაკუთრებით ეს ითქმის საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კონვეციის მე-7 მუხლი - ეს არის კომპრომისი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის. მათი ნაწილი შიშობდა, რომ კეთილსინდისიერების დათქმა იყო ძალზე ბუნდოვანი და შეიცავდა ფრიად განსხვავებულ წარმოდგენებს სხვადასხვა ქვეყნის მართლწესრიგებს შორის. ამრიგად, კომპრომისის სახით კონვეციის ტექსტი პირდაპირ არ ჩაიწერა, რომ მხარეები ვალდებულნი იყვნენ, ემოქმედათ კეთილსინდისიერების სტანდარტიდან გამომდინარე. ნაცვლად ამისა, სრული თანხმობაა მიღწეული იმასთან დაკავშირებით, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი, სულ მცირე, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სასამართლოს ხელში კონვეციის ნორმათა განმარტებისას.“[46]

„ობიექტური განმარტების მეთოდით გერმანიაში განიხილება ხელშეკრულების შემშვებ (დამატებით) პირობად (erganzede Vertragsbedingung), რომელიც ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. იგი მოწოდებულია, შეავსოს ხარვეზი. თუ ხელშეკრულება არ შეიცავს გარკვეულ პირობას, ხელშეკრულებაში არსებული ხარვეზი უნდა შეივსოს გარიგების დამატებითი განმარტებით. აღნიშნული ფორმა ასე განმარტა გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ: მოსამართლე ვალდებულია, გამოავლინოს და მხედველობაში მიიღოს ყველაფერი ის, რაც მხარეებმა არ გაამხილეს, მაგრამ, ხელშეკრულების საბოლოო მიზნის გათვალისწინებით, მასში დაფიქსირებული

[46]იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007. გვ.22

უნდა ყოფილიყო, თუ ხარვეზიანი ადგილები მოწესრიგდებოდა სამართლიანობის პრინციპის და საქმიანი ბრუნვის ჩვეულებათა შესატყვისად.“[47]

„უნიდროას მე-4 VIII მუხლის მიხედვით: 1. თუ კონტრაქტორებმა ვერ შეათანხმეს პირობები, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი უფლება-მოვალეობების განსასაზღვრად, მაშინ ხელშეკრულება უნდა შეივსოს იმ პირობით, რომლიც მოცემული გარემოებების შესაბამისია. 2. იმის განსაზღვრისას, თუ რომელი პირობაა შესაბამისი, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:

ა) მხარეთა განსაზღვრა;

ბ) ხელშეკრულების ხასიათი და მიზანი;

გ) კეთილსინდისიერება და პატიოსანი საქმიანი პრაქტიკა;

დ) გონიერება;“[48]

ხარვეზის შევსების ფუნქცია უნიდროას მე-4 მუხლშიც გვხვდება, რაც მოიაზრებს იმ მნიშვნელოვანი პირობებით ხელშეკრულების შევსებას, რაც ვერ გაითვალისწინეს თავის დროზე და შემდეგ გარკვეული ნორმებით ამ ხარვეზებს შეავსებს. თუმცა ამ დროს გასათვალისწინებელი უნდა იყოს ხელშეკრულების მიზანი, კეთილსინდისიერება, პატიოსნება, სინდისიერება, მხარეთა განსაზღვრა და გონიერება, რაც ამ ხელშეკრულებას კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში უფრო ნათელს და ერთიანს გახდის.

კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში როგორც „დამატებითი“ ფუნქცია. როდესაც მხარეებმა არ ან ვერ გაითვალისწინეს ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი ზოგიერთი პირობა. მაგალითად: ვალდებულება იმ ინფორმაციის გაცემის, წიგნების მიწოდების შესახებ, კონტრაქტორისთვის განხილულ უნდა იქნეს როგორც მხარეთა მიერ

[47] იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007. გვ.22
[48] იქვე, გვ.22

ნაგულისხმები ის ვალდებულება, რომლებიც პირდაპირი სახით ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული, თუმცა იგულისხმებოდა.[49]

„გერმანიის სასამართლოების მიერ მრავალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა მხარეთა ნაგულისხმებ (დამატებით) ვალდებულებას. ს. ეს უკანასკნელი პრინციპი არის გათვალისწინებული „unidroas" პრინციპების მე-5 II და „ევროპული" პრინციპების 6:102-ე მუხლებით. 104"[50]

ხარვეზის შევსების ფუნქცია ხელშეკრულებაში ხარვეზის აღმოფხვრის მთავარი ფუნქციაა. ხარვეზის შევსების ფუნქცია სასამართლოსა და ხელშეკრულების მხარეებს უმარტივებს ხელშეკრულებაში დაკლებული მნიშვნელოვანი პირობების დამატებით განსაზღვრას. ეს ფუნქცია აძლევს საშუალებას ხელშეკრულებას უფრო მთლიანი და ნათელი გახადოს, ვიდრე ამ ხელშეკრულების განსაზღვრისას იყო.

[49] იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007. გვ.24
[50] იქვე, გვ.24

2.2. დამატებითი ვალდებულების დაკისრების ფუნქცია

ხელშეკრულებაში არსებული პირობები სავალდებულოა რაიმე კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების ყველა მონაწილესთვის. შესაძლოა, ხელშეკრულებაში არ იყოს ჩამოყალიბებული ქცევის წესი, მაგრამ განსაზღრული მოქმედების შესრულების ვალდებულება გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან. ამასთან დაკავშირებით ლარენცი მოიაზრებს დაცვისა და შენარჩუნების ვალდებულებას, ინფომაციის გაცემის ვალდებულებას და ზრუნვის ვალდებულებას. ქართულ სახელშეკრულებლო სამართალში შესაძლოა უკვე ხელშეკრულების დადების გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ან ხელშეკრულების პირობების შესრულების შემდეგაც დაევალოთ გარიგების მხარეებსდამატებითი ვალდებულება.[51]

კეთილსინდისიერების პრინციპი ავსებს კანონის სამართლის ნორმის ხარვეზებს და ეხმარება მას, ამის შემდეგ კი ხდება სახელშეკრულებლო სამართლებრივ ურთიერთობაში მხარეთათვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრება. დამხარების ვალდებულებას სხვაგვარად „თანამშრომლობის ვალდებულებას“ უწუდებენ.[52] მხარეთათვის დამატებითი ვალდებულება, სახელშეკრულებო უთიერთობისას, ეხმარება სამართალს და ავსებს იმ ნაწილს, რის გარეშეც ხელშეკრულება არ იქნებოდა სრულყოფილი. დამატებითი ვალდებულების დაკისრების ფუნქცია, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ფუნქცია ავსებს ხელშეკრულების ხარვეზებს და დამატებით გამოიყენებს იმ ნორმებს, რაც უფრო დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს ხელშეკრულების პირობებს და მხარეთათვის უფრო გასაგებს.

„კრედიტორს ეკრძალება ხელი შეუშალოს მოვალეს შესრულებაში უფრო მეტიც კრედიტორი ვალდებულია თავიდან აიცილოს ფაქტორები რომლებიც აძნელებს შესრულებას. კრედიტორმა უნდა შექმნას დაუბრკოლებელი შეუფერხებელი შესრულების პირობები თუნდაც ეს ფორმარულად მოვალის

---

[51] ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N3(27), თბილისი, 2014, გვ.68

[52] იქვე, გვ.69

ვალდებულებას წარმოადგენდეს პრაქტიკაში მოცემულ ვალდებულებებს მნიშვნელობა ყველაზე უფრო ხშირად ისეთ შემთხვევებს უნდა მიენიჭოს როცა გარიგებისათვის საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ნებართვა.“[53]

დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას რომ არსებობს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც ქონების და სახელშეკრულებლო მხარეების პიროვნული ხელშეუხებლობის შენარჩუენბაზეა ძირითადად ორიენტირებული, რომელსაც უწოდებენ დაცვის ვალდებულებებს.[54]

დაცვის ვალდებულება კი მაშინ არსებობს, როცა დროა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების და ასევე ხელშეკრულების შესრულების დროც. დაცვის ვალდებულებას ხელშეკრულების შესრულების შემდეგაც გააჩნია მნიშვნელობა.[55]

სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე: „ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას ვალდებულების შინაარსიდან შეიძლება გამომდინაეობდეს თითოეული მხარის ვალდებულება გაითვალისწინოს მეორე მხარის უფლებები, არამატერიალური სიკეთეები და ინტერესები.“[56] სსკ-ს აღნიშნული მუხლი აკისრებს მხარეებს ერთმანეთის მიმართ გულისხმიერებას. მათ უნდა განსაზღვრონ ერთმანეთის ინტერესები და მარტო საკუთარი შეხედულებები. მეორე მხარეს უნდა სცენ პატივი და შეასრულონ ყველაფერი კეთილსინდისიერების ფარგლებში.

ლოიალურობის ვალდებულებას რაც შეეხება, ვრცელი და ფართო ფუნქცია გააჩნია და შინაარსობრივადაც უფრო ფართო გაგებისაა, ვიდრე კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე სხვა დამატებით ვალდებულებები. ლოიალურობის ვალდებულება ნიშნავს იგივე ერთგულების ვალდებულებას. იგი არ არის რაიმე დამოუკიდებელი კონრეტული ვალდებულება, არამედ

---

[53] ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N3(27), თბილისი, 2014, გვ.69
[54] იქვე გვ.69
[55] იქვე გვ.70
[56] სსკ-ის 316 მუხლი

კეთილსინდისიერად ქმედების მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს. ლოიალურობის ვალდებულება ნიშნავს: მხარეება ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად. მათ თავი უნდაა აარიდონ ისეთი ქმედების განხორციელებას, რაც შეიძლება ზიანის მომტანი იყოს შესრულებისათვის.[57]

კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე პირს შეიძლება დაეკისროს ნივთის შენახვის ვალდებულებაც. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება შეიძლება დადებულად ჩაითვალოს, როგორც მხარეთა შორის მიბარების ხელშეკრულება.[58]

კრედიტორი მოვალეა ვალდებულება შეასრულოს კეთილსინდისიერად. კრედიტორს არა აქვს უფლება უმიზეზოდ თქვას უარი მოვალისგან ვალდებულების შესრულების მიღებაზე.[59]

როდესაც მხარე აღვევს მთავარი ვალდებულების შინაარსის დამატებით ვალდებულებებს, ეს ნიშნავს რომ ამით ირღვევა ის მთავარი ვალდებულება, რაც არის პასუხისმგებლობის საფუძველი ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის.[60]

მხარეთათვის დამატებითი ვალდებულების ფუნქცია ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების დადებისას გასათვალისწინებელი იყოს ის დამატებითი ვალდებულებანი ერთმანეთის მიმართ, რაც კეთილსინდისიერების ფარგლებს გულისხმობს. დამატებითი ვალდებულების დარღვევისას კი ირღვევა ის მთავარი ვალდებულებაც, რაც ხელშეკრულებაში იყო. შესაბამისად, დამატებით ვალდებულებას მთავარი როლი აკისრია ხელშეკრულებაში.

---

[57] ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N3(27), თბილისი, 2014, გვ.71
[58] იქვე, გვ.71
[59] იქვე, გვ.72
[60] იქვე, გვ.74

2.3. შეზღუდვისა და კორექტირების ფუნქცია

„კეთილსინდისიერების პრინციპის გამაუქმებელი ფუნქცია კარგად წარმოჩნდება სსკ-ის 346-ე მუხლით: ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისთვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.“[61]

„კეთილსინდისიერების ფუნქციის „გამაუქმებელი“ ფუნქციის მნიშვნელობა გამოიხატება არა მხოლოდ იმით, რომ შეზღუდოს ან გააუქმოს ხელშეკრულების რომელიმე პირობა, არამედ ასევე სამართლოების მხრიდან იგნორირებული იქნეს კანონის ნორმათა, მათ შორის იმპერატიულ ნორმათა, მოქმედება. ამრიგად, აღნიშნული ფუნქციის შესაბამისად, ყველა ნორმამ (პირობამ), ეს იქნება ,ხარეთა შეთანხმებით თუ კანონდებლობის მიერ მიღებული, უნდა გაიაროს კეთილსინდისიერების ტესტი. ცხადია, აღნიშნული უნდა განხორციელდეს არა იმდენად მოსამართლის შინაგანი სამართლიანობის გრძნობიდან გამომდინარე, არამედ იმის მიხედვით, შესაბამისი ნორმის გამოყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით გამოიწვევს თუ არა მხარისათვის აშკარად უსამართლო შედეგის დადგომას.111“[62]

კეთილსინდისიერების ფუნქციის გამაუქმებელი ნორმა მაშინ ვლინდება, როდესაც სახეზე გვაქვს ისეთი ნორმების არსებობა, ან ისეთი პირობა ხელშეკრულებაში, რაც ზიანს მოუტანს ან დაკარგავს მხარის ინტერესებს ხელშეკრულების არსებობისთვის.

კეთილსინდისიერების პრინციპის „მაკორექტირებელი“ ფუნქცია ყველაზე კარგად ჩანს ოერტმანის გარიგების საფუძვლის თეორიაში (Geschaftsgrundlange). „ოერტმანის გარიგების საფუძვლის (Geschaftsgrundlange) თეორიის მიღედვით,

---

[61] იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, გვ.25

[62] იქვე, გვ.25

შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას, თუ არ გამართლდა მხარეთა მოლოდინი, წარმოდგენები და ვარაუდები, რომლებსაც ისინი მიზნად ისახავდნენ ხელშეკრულების დადების მომენტში. აღნიშნული დოქტრინის მიზანია, მოაწესრიგოს სახელშეკრულებო ურთიერთობები შეცვლილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოებებთან დაკავშირებით. ბოლო წლებში აღნიშნული თეორიის გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითები გამოიკვეთა გერმანიის გაერთიანებით გამოწვეულ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგებით."[63]

„კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებლო სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა მოცემული ფუნქცია ვლინდება მაშინ როცა სასამართლო ერევა მხარეთა შეთანხმებაში საზოგადოებაში მომხდარი იმ ცვლილებების შემთხვევაში რომლებიც გავლენას ახდენენ სახელშეკრულებლო სამართლებრივი ურთიერთობების არსებობასა და მიმდინარეობაზე (სსკ-ის 398-ე და 399-ე მუხლები)."[64]

სასამართლოს შეუძლია ჩაერიოს იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლის აუცილებლობა.

„რთული და გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში შესაძლებელია უფლებების და ვალდებულებების მასშტაბური მოდიფიკაცია და კონკრეტული ურთიერთობების შიგნით მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსის ახლებურად განსაზღვრა. ეს არ წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა უფლებრივ სფეროში ინტერვეციას არამედ მიზნად ისახავს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის განსაზღვრას."[65]

---

[63] იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, გვ.26

[64] ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი" N3(27), თბილისი, 2014, გვ.79

[65] იქვე, გვ.79

„ცნობილი გერმანელი იურისტები: ცვაიგერთი და კოტცი აღნიშნავენ, რომ ოერტმაინის თეორია მიუღებელია იმ შემთხვევაში, როდესაც აღინიშნება გარემოებათა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ მაშინ, როდესაც, გონივრულად მოქმედი მხარეების მიერ ხელშეკრულების დადებისას შეუძლებელი იყო აღნიშნული გათვალისწინება. თავდაპირველი მდგომარეობის შენარჩუნება მათ თავისთავად ნავარაუდევად მიაჩნდათ, ამიტომ არ სჭირდებოდათ ხელშეკრულების დადების მომენტში გამოთქმული წარმოდგენების სამომავლო განვითარებისპროგნოზირება. გერმანიის საიმპერიო (უმაღლესი) სასამართლო მუდმივად იყენებდა „გარიგების საფუძვლის“ თეორიას. მისი გადაწყვეტილების ფორმულირებას დღესაც ვხვდებით ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულების შესრულების გაუთვალისწინებელ სიძნელეთა გადაჭრა დიდწილად დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებასა და, პირველ რიგში, დადებული ხელშეკრულების ტიპის გათვალისწინებით, თუ როგორ ინაწილებენ მხარეები მსგავსი გარემოებების წარმოქმნისას რისკს. ოერტმაინის თეორიის მსგავსი ზოგადი თეორიები პრაქტიკულად მხოლოდ იმდენად ეხმარება სასამართლოს, რამდენადაც საშუალებას აძლევს მას, თავისი მართლაც ავტორიტეტული მოსაზრებები სიტყვათა სამოსში გაახვიოს.[66]

„კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ლოიალურობის ვალდებულება უკრძალავს მხარეებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავიაანთი სახელშეკრულებლო უფლებები მაშინაც კი ბოლომდე გამოიყენონ როდესაც ამ მოთხოვნის უკან აღარ დგას რეალურად ფასეული ინტერესი.“[67]

„კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეებს აკისრებს სახელშეკრულებლო ვალდებულების ფარგლებში ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებას. თუ ადგილი აქვს უფლების ამ რიგად გამოყენებას რომ მხარეთა

---

[66]იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, გ.3 27

[67]ხუნაშვილი ნინო, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N3(27), თბილისი, 2014, გვ.77

ინტერესების ურთიერთგათვალისწინების ვალდებულება ირღვევა უფლების ასეთი გამოყენება ბოროტ განზრახვად უნდა დაკვალიფიცირდეს.“[68]

კეთილსინდისიერება გულისხმობს მხარეების ერთმანეთისადმი პატივისცემის მოპყრობას. ხოლო თუ ირღვევა მეორე მხარის უფლება განზრახ, ამ შემთხვევაში ის პატივს არ სცემს მეორე მხარეს და ეს უკვე ბოროტი განზრახვაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიასა იცნობს და ამასთან კეთილსინდისიერების პრინციპსაც, ამიტომ მოსამართლეს თავად უნდა განსაზღვროს და გადაწყვიტოს კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, თუ რომელი პრინციპის საფუძველზე უნდა შეუზღუდოს მხარეს უფლების გამოყენება.[69]

კეთილსინდისიერების შეზღუდვის ფუნქცია მოქმეებს ნდობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაშიც. ნდობის ბოროტად გამოყენება მოიაზრება მაშინ, როცა მხარე მოქმედებს მის მიერ დაპირებულ და ხელშეკრულებაში არსებულ განხორციელებული პირობის საწინააღმდეგოდ.[70]

დამაკონკრეტებელი ფუნქციაც არის, როდესაც ვალდებულება თუ როგორ უნდა შესრულდეს. მაგალითად, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების ზუსტ თარიღზე. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულება უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში. ეს დებულება ზოგადად მოქმედებს არა მხოლოდ მოვალის, არამედ კრედიტორის ვალდებულების მიმართაც.[71]

---

[68] ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N3(27),თბილისი, 2014, გვ.77

[69] იქვე, გვ.78

[70] იქვე, გვ.78

[71] ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014. გვ.380

თავი 3. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა

„დროს შეუძლია დაარღვიოს ხელშეკრულების თავდაპირველი წონასწორობა. შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება სწორედ დროის მსვლელობით დარღვეული სახელშეკრულებო წონასწორობას აღდგენის სსკ-ით განმტკიცებული საშუალებაა. საერთო წესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს. თუ მოვალეს ვალდებულების შესრულება გაურთულდა ან მან დაკარგა ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, ეს მას არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან. მან თავად იკისრა ვალდებულების შესრულბა და თავადვე უნდა ატაროს მისი შეუსრულებლობის რისკი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინბულია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი). როდესაც საუბარია შეცვლილ გარემოებებზე, ასეთ დროს საუბარია იმაზე, რომ ხელშეკრულების შესრულებამდე და სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტამდე შეიძლება შეიცვალოს გარემოებები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული და ეს გარემოებები, გავლენას ახდენენ მხარეთა ვალდებულებებზე. ეს ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მხარის ვალდებულებები მეორე მხარის მიმართ გაიზარდა, რაც იწვევს მხარეთა შორის დისბალანსს და ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.“[72]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისგან თავის არიდება არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულების ბოლომდე შესრულებისაგან. მაშინაც კი თუ მან გადაიფიქრა, აღარ შეუძლია თავის არიდება, რადგან თუ იკისრა თავიდანვე ამ ვალდებულების თავის თავზე აღება, მაშინ ბოლომდე ვალდებულია, რომ ხელშეკრულება შეასრულოს კეთილსინდისიერად. არსებობს ერთადერთი გამონაკლისი, სადაც გარემოებები იცვლება, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ხელშეკრულების ადების დროს. ეს ყველაფერი კი საპირისპიროა კეთილსინიდისერების პრინციპის. მხარე ვეღარ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას კეთილსინდისიერად, გარემოებათა შეცვლის გამო.

[72] ხუნაშვილი ნ. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბ., 2016 გვ.177

კანონისა და ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების შეწინააღმდეგება ითვლება დარღვევად, რასაც მივყავართ საბოლოოდ ხელშეკრულების ბათილობამდე. რაც შეეხება სხვა ქვეყნების სამართალს, ჩამოთვლილია ის გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების დარღვევას შეიძლება მოჰყვეს. გერმანულ და ამერიკულ სამართლებრივ სისტემებში დარღვევა განიხილება სახელშეკრულებო სამართლის ჩარჩოებში. კეთილსინდისიერების დარღვევას მხოლოდ გერმანიაში შეიძლება მოჰყვეს სხვა სახის სამართლებრივი გარიგების გაბათილება. შვეიცარულ და იტალიურ სამართალს დარღვევის შემთხვევაში პრაქტიკულად იგივე შედეგი აქვს. თუმცა ფორმალურად ბათილობა მხოლოდ ხელშეკრულების უფლებას ეხება.[73]

„საფრანგეთსა და იტალიაში კანონის ან კეთილი ზნის დარღვევის გამო ხელშეკრულება ბათილად ცნობის საფუძველია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების თეორია. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1131-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო ვალდებულება ბათილია, თუ საფუძველია „მართლსაწინააღმდეგო მიზეზი“ (une cause illicite). საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1131-ე მუხლის მიხედვით, „მართლსაწინააღმდეგო მიზეზი“ „აკრძალული უნდა იყოს კანონით“ (prohibee par la loi) ან „ეწინააღმდეგებოდეს კეთილ ზნეს ან საჯარო წესრიგს“ (contraire moeurs ou a l’ ordre public), ანალოგიური ნორმებია იტალიის სამოქალაქო კოდექსში (მუხლი 1418). ამასთან, „მიზეზში“ მოიაზრება არა მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ერთი მხრის შესვლის საფუძველი, არამედ მისი მოლოდინი, დაკავშირებული საიჯარო სახადის ან შესასყიდი ფასის გადახდის შემდგომ მიწის ნაკვეთის გამოყენების შესაძლებლობასთან. გარდა ამისა, ცნება „მიზეზი“ მოიცავს იმ განზრახვებს, რომელსაც აღნიშნული მხარე უკავშირებს გარიგების დადებას, ასევე მის გეგმებს შესყიდვით ან იჯარით აღებული სახლი გამოიყენოს „შეხვედრების სახლად“ აზარტული თამაშის მოყვარულთათვის. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების

[73] ცვაიგერტი კ. კოტცი ჰ. შედარებითი სამართლმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ 2, თბ., 2001 გვ.65

ნამდვილობის შესამოწმებლად მოსამართლე იგივე კრიტერიუმებს იყენებს, რასაც გერმანული ან ინგლისელი მოსამართლე ანალოგიურ შემთხვევებში.“[74]

საფრანგეთსა და იტალიაში დარღვევა მოიაზრება შემდეგნაირად: თუ არსებობს მართლსაწინააღმდეგო მიზეზი სამართლის ურთიერთობებში ვხვდებით ხელშეკრულების დარღვევის შედეგებს. მართლსაწინააღმდეგო მიზეზი აკრძალულია და რაიმე ქმედება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერებას.

კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა არსებობს, როცა დაირღვევა კონკრეტული კანონი, რომელიც აღნიშნულ ინსტიტუტს ეფუძნება და მეორე, როცა პრინციპის დონეზე შესაბამისი სახის დარღვევაა. მაგალითად: როდესაც სახითხი ეხება ვინდიკაციური სარჩელის დაყენებასა და მისი განხორციელების გზებს, უკანონოდ სამართლის განხორციელება ნიშნავს უკანონო ქმედებას და კეთილსინდისიერების დარღვევას.[75]

რაც შეეხება პრინციის დარღვევის შედეგებს, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო ურთიერთობისას დიდ როლს ასრულებს. ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ ამ სამართლებრივ ინსტიტუტზეა დაფუძნებული რომ შესაძლებელი იყოს, დაყენებულ იქნეს ხელშეკრულების ბათილობის ან საცილოობის საკითხი. მაგალითად, თუ პირმა გააგზავნა ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულების ვერსია მეორე მხარესთან, მეორე მხარემ, მის მიერ გაგზავნილ ელექტრონულ ფოსტაში გაფრთილების შეცვალა რაიმე პირობები და უკვე ხელმოწერილი ვერსია უკან მიაწოდა მხარეს, მიმღებმა კი ვერ შენიშნა ეს შეცვლილი პირობები და ხელი მოაწერა ამ ხელშეკრულებას(მაგალითი აგებულია სასამართლო პრაქტიკაზე იხ. BGH, Urteil vom 14.5.2014 – VII ZR 334/12.) ერთი მხრივ, შეიძლება იყოს შეცდომით დადებულ გარიგება, ხოლო მეორე მხრივ - კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა. ნორმათა ამგვარი კოლიზიიდან

[74]ცვაიგერტი კ. კოტცი ჰ. შედარებითი სამართლმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ 2, თბ., 2001 გვ.66

[75] ჯორბენიძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, გვ.47

გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღება კერძო ავტონომიის სისტემური ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი.[76]

ჩემი აზრით, საქმე ეხება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას, რადგან მხარემ თავისი ნებით, გაუფრთხილებლობის გარეშე შეცვალა ხელშეკრულების პირობები და მეორე მხარეს ხელმოწერილი დაუბრუნდა და ხელმოწერით უკვე დათანხმდა პირობებს. იმ მხარემ ვინც შეცვალა პირობები ისარგებლა მეორე მხარის პატიოსნებით და შელახა მისი ინტერესები. მან არ გაითვალისწინა მეორე მხარის პოზიცია, არ მოიქცა პატიოსნად და სინდისიერად, რაც უკვე მოიაზრებს კეთილსინდისიერების დარღვევას.

კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევამ შესაძლოა გარკვეულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევაც გამოიწვიოს. აქ განიხილება ისეთი სახის ვალდებულება, რომელიც პირს უკვე ნაკისრი აქვს ხელშეკრულებით ან კანონის საფუძველზე. კეთილსინდისიერების პრინციპი ზღუდავს ხელშეკრულების თავისუფლებას, მაგრამ ეს შეზღუდვა ექცევა კანონიერ ფარგლებში.[77]

კრედიტორი უფლებას იყენებს ბოროტად, ეს იმას ნიშნავს, რომ არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს იმ შემთხვევაშიც კი როცა შესრულებას დიდი დაჟინებით სთხოვს ცუდ მდგომარეობაში მყოფ მოვალეს.[78]

მხარეთა გარიგებისას მხარეებს შორის მთავარი მიზანი უნდა იყოს მხარეთა ინტერესი და მოლოდინი და მათი მოლოდინის შესაბამისად უნდა განაწილდეს მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო რისკები.[79]

„საკითხი, მოცემული ხელშეკრულება რა ზომით არღვევს კეთილ ზნეს და კანონს, სხვა მართლწესრიგში განსხვავებულად ფასდება, რადგამ შესაფასებელ

---

[76] ჯორბენიძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, გვ.68

[77] იქვე, გვ.68

[78] Цвайгерт К. Кётц Х., Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, Международные отношения , М. 1998, 264

[79] Oertmann Paul, Die Geschäftsgrundlage: ein neuer Rechtsbegriff. Leipzig, 1921, მითითებულია: Eckl Ch., Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 36

კრიტერიუმებში როლს ასრულებს როგორც ნეიტრალური წარმოდგენები კეთილ ზნეებაზე, ისე ისტორიულად ძველებური ტრადიციები.“[80]

„ხშირად, ჯერ კიდევ გუშინ არამართლზომიერად მიჩნეული ხელშეკრულებები დღეს ნამდვილად ითვლება საერთო სამართალში, რომლის განვითარებაც მდორედ, ნახტომების და წყვეილობის გარეშე მიმდინარეობდა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამართლებრივი შეხედულებების აღნიშნული ევოლუცია. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ინგლისელ მოსამართლეებს განსაკუთრებით ნათელი წარმოდგენა აქვთ იურიდიული ცნებების შინაარსის ცვალებადობის თაობაზე: განსაზღვრა იმისა, თუ რა ეწინააღდეგება ეგრეთ წოდებულ „ სამართლებრივ პოლიტიკას“ (police of the low”), დროთა განმალობაში გარდაუვალად იცვლება. ჩვენი მოსამართლეების მიერ ამჟამად მოწოდებულ გარიგებებს წინა თაობები უარყოფენ როგორც ამ პოლიტიკისადმი შეუსაბამოს. აღნიშნული წესი ძალაშია, მაგრამ მისი გამოყენება იცვლება იმ პრინციპების შესატყვისად, რომლებიც მოცემულ მომენტში გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე.“[81]

ზიანი შეიძლება გამოიხატებოდესასევე საცხოვრებელი ბინის დატოვებით ან პროფესიული კარიერის შეწყვეტისას.[82] ვინაიდან საცხოვრებელი ბინის დატოვებით შესაძლოა ზიანი მიადგეს მფლობელს შენი არ ყოფნით. მიადგეს ფინანსური ზიანი რაც არ იყო ხელშეკრულების პირობებში და მან მალევე ვერ მოახერხოს ბინაში სხისი შეშვება. მთავარი ის არის რა ევალება მხარეს ამ შემთხვევაში, თუ რაზე შეთანხმდნენ ხელშეკრულების მხარეები. ასევე პროფესიული კარიერის შეწყვეტისას ზიანი მიადგება იმ კომპანიას ან დაწესებულებას სადაც გიწევს შენი საქმიანობის შესრულება. ხელშეკრულების დარღვევის უმეტეს შემთხვევაში შეიძლება ზიანი მიაყენო მეორე მხარეს.

„გარიგების საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ მხარეები

---

[80] ცვაიგერტი კ, კოტცი ჰ, შედარებითი სამართლმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ 2, თბ., 2001 გვ.66
[81] იქვე, გვ.67
[82] იქვე, გვ.67

გაირებას“ . როდესაც ადგილი აქვს გარიგებას საფუძლის ხარვეზს, აღარ უნდა გაკეთდეს აქცენტი ხელშეკრულებაში გამოხატულ მხარეთა ნებაზე. მართებულია ოერტმანის პოზიცია, რომლის თანხამადაც, გამოსავალი უნდა იყოს მხარეთა ინტერესები და მოლოდინი და ამ ინტერესებისა და მოლოდინის შესაბამისად უნდა განაწილდეს მხარეთა შორის სახელშეკრულებო რისკები. კერძოდ, კეთილსინდისიერების პრინციპი ირღვევა, როდესაც ხელშეკრულების მხარე მაშიანც კი ითხოვს ხელშეკრულების უპირობო შესრულებას, როდესაც წარმოდგენები ან მოლოდინი, რომელთა გათვალისწინებით დადგენილი ვალდებულებებისა და საპასუხო შესრულების (საპასუხო ვალდებულების) კუთხით აღარ შეესაბამებიან ერთმანეთს. იგივე უნდა ითქვას ისეთ შემთხვევებზე, როდესაც თადაპირველად არსებული გარემოებები იცვლება და სახეზეა ახალი ანუ წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებები, რის გამოც ხელშეკრლებამ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა და მიზანი დაკარგა. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისპრინციპის საფუძველზე (სსკ-ის მე-8 და 361-ე მხლები) მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეცვლა (ხელშეკრრულებაში შესწორების შეტანა, ხელშეკრულების კორექტირება) ან ხელშეკრულებიდან გასვლა.“[83]

კეთილსინდისიერების ფარგლებში ხელშეკრულების დადების დროს, პირველი რაც არის მთავარი, უნდა გაითვალისწინოს მხარემ ის რისკები, რაც შეიძლება ხელშეკრულების პირობების შესრულებას ან არ შესრულებას მოჰყვეს. ამ რისკების გათვალისწინების შემდეგ მხარეებს ნაკლებად ექნებათ კეთილსინდისიერების დარღვევის მოლოდინი. თუმცა, ამის გარდა, არსებობს ის მთელი რიგი სხვა საკითხებიც, რაც შეიძლება ვერ განსაზღვრონ, თუნდაც ისეთი მოთხვნების აღნიშვნა ხელშეკრულებაში რომელზეც წინასწარ არ იყო გათვლილი მისი სირთულე, მეორე მხარე კი მაინც ვალდებულია ბოლომდე შეასრულოს ეს ვალდებულება, ხოლო თუ ვერ შეასრულებს დაარღვევს კეთილსინდისიერებას.

[83] ცვაიგერტი კ, კოტცი ჰ, შედარებითი სამართლმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ 2, თბ., 2001 გვ.67

„კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ერთ-ერთი შედეგია გრძელვადიან ურთიერთობებზე უარის თქმა. ეს წესი განხორციელებულია სსკ-ის 399-ე მუხლში. „ეს ნორმა ადგენს გამონაკლისს სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წესიდან. კერძოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის შესაძლებლობას კანონმდებელი უშვებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახეზე არ არის სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი უმთავრესი წინაპირობა- ვალდებულების დარღვევა. გრძელვადიან ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა და პატივსადები მიზეზი, რომლის არსებობისას მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება და არც ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაცვა. გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებს მიეკუთვნება ქირავნობის, იჯარის, ლიზინგის, დაზღვევის, ერთობლივი საქმიანობის და ზოგიერთი სხვა ხელშეკრულება. უმეტესწილად ხელშეკრულების მოშლისა თუ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია ვალდებულების დარღვევა, რაც, ცხადია, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისთვის სწორედ პატივსადებ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის არსებობისას მას, სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად უფლება აქვს დამატებით ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ უარი თქვას ხელშეკრულებაზე. „აღნიშნულის გათვალისწინებით, სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ თუ პატივსადები მიზეზი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა, ასეთ შემთხვევაში გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლა დასაშვები იქნება მხოლოდ სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების დაცვით.“[84]

საბოლოოდ კი კეთილსიდნისიერების დარღვევა სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოიხატება, იმით რომ მხარეები შესაძლოა ვერ საზღვრავდნენ ხელშეკრულებაში არსებული ვალდებულების შესრულების რისკს. ასევე ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს განზრახ, როცა იცი თუ რა ზიანი შეიძლება

[84] ხუნაშვილი ნ. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბ., 2016. გვ.187

მიადგეს მეორე მხარეს და მაინც შელახო მეორე მხარის ინტერესები. კეთილსინდისიერების პრინციპის არსებობაა ძალზედ მნიშვნელოვანია სამართლებრივი ვალდებულების შესრულებისას და საერთოდ სამართლის სისტემაში. მის გარეშე იქნებოდა ქაოსი ბევრ ხელშეკრულებაში და ვალდებულების შესრულებაში. ეს პრინციპი ავალდებულებს პირს იყოს კეთილსინდისიერი, პატიოსანი, წესიერი, და რაც მთავარია, არ შელახოს სხვათა უფლებები, ანუ არ დაარღვიოს კეთილსინდისიერება.

სასამართლო გადაწყვეტილება

მოცემული სასამართლო გადაწყვეტილების დავის საგანს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილის მიხედვით: შ. და მ. ხ–ებმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე სს „ს. ბ– ის“ მიმართ და მოითხოვეს მოპასუხისათვის ზიანის – 1 182 330 ლარის ანაზღაურების დაკისრება. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2010 წლის 16 დეკემბერს სს „ს. ბსა“ და ინდივიდუალურ მეწარმე შ. ხ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“ №508935. ამ ხელშეკრულების ფარგლებში, 2010 წლის 16 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო „საკრედიტო ხელშეკრულება“ N508935-811132, რომლის საფუძველზე კლიენტზე გაიცა კრედიტი - 375 000 აშშ დოლარი, 50 თვის ვადით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა: ქ.თბილისში, ყ-ის ქუჩა №10-ში მდებარე N88 ბინა, ფართით 107.77მ 2 (ს/კ: .....), რომელზეც რეგისტრირებული იყო შ. ხ-ის საკუთრების უფლება, აგრეთვე, ქ.ქუთაისში, კ.გ-ს ქ.№5-ში მდებარე №2 ნაკვეთი, ფართით 537მ 2 (ს/კ:.....), რომელზეც რეგისტრირებული იყო მ. ხ-ის საკუთრების უფლება. 2011 წლისათვის ინდ. მეწარმე შ. ხ-ის დავალიანებამ სს „ს. ბ-ის“ მიმართ შეადგინა 308 000 ლარი. აღნიშნული ვალდებულების რეფინანსირების მიზნით მოსარჩელემ დახმარება სთხოვა სს „ქ. ბ-ს“, რომელმაც თანხმობა გამოთქვა გადაეფარა 2010 წლის 16 დეკემბრის „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“ №508935 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინდივიდუალური მეწარმის შ. ხ-ის დავალიანება. 2012 წლის 29 ივნისს სს „ს. ბ-ს“ წარედგინა სს „ბ. ქ-ს“ საგარანტიო წერილი, რომლის თანახმადაც სს „ბ. ქ-უ“ კისრულობდა ვალდებულებას უზრუნველყოფის საგნების (იპოთეკით დატვირთული ქონების) მეორადი იპოთეკით დატვირთვის შემდეგ ინდ. მეწარმე შ. ხ-ის დავალიანების დაფარვის შესახებ. მიუხედავად ზემოაღნიშნული საგარანტიო წერილისა, სს „ს. ბ-ის“ მიერ არ იქნა მიწოდებული რეკვიზიტები, რომელზეც უნდა ჩარიცხულიყო სს „ბ. ქ-დან“ თანხა და, ამასთანავე, 2012 წლის 26 სექტემბერს სს „ს. ბ-ის“ განცხადებით დაიწყო

სააღსრულებო წარმოება და იპოთეკით დატვირთული ქონება იძულებითი აუქციონის მეშვეობით შეძენილ იქნა სს „ს. ბის“ მიერ, კერძოდ, მ. ხ-ის კუთვნილი უძრავი ნივთი შესყიდულ იქნა 486 600 ლარად (საიდანაც, 74 227 ლარი იყო დამატებითი ღირებულების გადასახადი) მაშინ, როდესაც, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის მიერ მითითებული ქონება შეფასდა 983 000 აშშ დოლარად. ანალოგიურად გასხვისდა ბანკზე შ. ხ-ის საკუთრებაში არსებული ქონებაც, რომელიც შეფასებული იყო 174 000 ლარად და შეძენილ იქნა 127 020 ლარად. მოსარჩელეების მოსაზრებით, სს „ს. ბ-მა“ სს „ბ. ქ-სგან“ არ მიიღო ვალდებულების შესრულება და ბოროტად გამოიყენა მის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება, რითაც შ. ხ-სა და მ. ხ-ს მიადგათ ზიანი. მოსარჩელეებმა ზიანის ოდენობად მიიჩნიეს სხვაობა აუქციონზე გაყიდული ქონების ღირებულებასა და მის საბაზრო ღირებულებას შორის, კერძოდ, მ. ხ-ის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენდა 983 000 აშშ დოლარს (1 621 950 ლარს), ხოლო აუქციონზე ბანკის მიერ იგი შეძენილ იქნა 486 600 ლარად. სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და აუქციონზე შეძენის ღირებულებას შორის შეადგენს 1 135 350 ლარს. ხოლო შ. ხ-ის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება იძულების წესით რეალიზაციამდე შეადგენდა 174 000 ლარს, ხოლო ბანკის მიერ აუქციონზე შეძენილ იქნა 127 020 ლარად. ამიტომ სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და აუქციონზე შეძენის ღირებულებას შორის შეადგენს 46 980 ლარს, რაც საერთო ჯამში შეადგენს 1 135 350 ლარს + 46 980 ლარი = 1 182 330 ლარს. მოსარჩელეთა მითითებით სს „ბ. ქ-საგან“ ვალდებულების შესრულების მიღებისა და აუქციონზე ქონების გაყიდვისაგან თავის შეკავების შემთხვევაში, ზიანი არ დადგებოდა. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარდგენილ შესაგებელში განმარტა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია განაპირობა მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევამ და სესხის გადაუხდელობამ, რაც გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი

გარემოებების არსებობას. ამასთან, მოპასუხის მითითებით, ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია მიზნად ისახავდა მხოლოდ ბ-ის კანონიერი ინტერესების დაცვას, დასტურდება 2013 წლის 12 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებით ინდივიდუალურ მეწარმე შ ხ-სათვის აუქციონის ფასად - 486 600 ლარად უძრავი ქონების უკან დაბრუნებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. და მ. ხ-ების სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინეს შ. და მ. ხ-ებმა და მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით შ. და მ. ხ-ების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილება ვრცელია, შევეცდები მოკლედ გადმოვცე ის ნაწილი, სადაც მხოლოდ კეთილსინდისიერების ნაწილს ეხება.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, განცხადება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირების შესახებ და მიიჩნევს, რომ განცხადება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველი, ხოლო საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხონ მათი მოქმედება. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.

საკასაციო პალატის განმარტებით, კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და

ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი.

ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო შემთხვევაში, მოპასუხის ქმედება იმითაა მოტივირებული, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია განაპირობა მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევამ და სესხის გადაუხდელობამ, რაც გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემობების არსებობას (იხ., შესაგებელი, ტ.1. ს.ფ. 114), რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ ის ვითარება, რომ მესამე პირმა კრედიტორს შესთავაზა დავალიანების სრულად დაფარვა, რაც თავის მხრივ, გამორიცხავდა უძრავი ქონების რეალიზაციის გზით კრედიტორის დაკმაყოფილების უკიდურესი ზომის გამოყენებას, თეორიულადაც კი, გამორიცხავს მოპასუხის პოზიციის მართებულობას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი - ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე - ვალდებულებისაგან გათავისუფლებით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით ფაქტია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაირღვა, ხოლო ბანკის მოლოდინი ხელშეკრულების

გაფორმების მიმართ მდგომარეობდა მის ჯეროვან შესრულებაში, თუმცა საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასებით ბანკის ქმედება ვერ იქნება მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად, რამეთუ ბანკის ინტერესი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულებაში მდგომარეობდა და იმ პირობებში, როდესაც ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მას წერილობით მიეწოდა შეთავაზება, იმის მიუხედავად, იქნებოდა იგი წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმით, ბანკს, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალებოდა გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამოდენიმე ვარიანტიდან ამოერჩია ყველაზე ხელსაყრელი და ამავდროულად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. კრედიტორის ეს ვალდებულება განპირობებულია როგორც ზოგადად საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკსა და კლიენტს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის შენარჩუნებისათვის, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სს „ბ. ქ-ს“ 2012 წლის 29 ივნისის წერილი, მართალია, პირდაპირ არ ავალდებულებდა სს „ს. ბ-ს“ შეეწყვიტა მოვალე ინდ. მეწარმე შ. ხ-ის მიერ საკრედიტო ვალდებულების დარღვევის გამო დაწყებული, კანონითა და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სააღსრულებო პროცედურები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულების მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოოდენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცის უფლება. მით უფრო, რომ იპოთეკის საგნების რეალიზაცით მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ კრედიტორის უპირატესი ინტერესი გამოკვეთილი არ იყო, რადგანაც მას შეეძლო რეალიზაციისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პროცედურებისა და დამატებითი ხარჯების გვერდის ავლით, უფრო მოკლე დროში

დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირისაგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატას აძლევს იმისი ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველს, რომ სს „ს. ბ-ის“ მხრიდან უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის, გამოყენება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ პირველ რიგში, უნდა იმსჯელოს და შეამოწმოს ზიანის ანაზღაურების შესახებ წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი კომპონენტების არსებობა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლთან მიმართებით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემულ მითითებებზე და ამ მითითებების გათვალისწინებით, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად, დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე

გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.[85]

[85] სასამართლო პრაქტიკა შეგიძლიათ იხილოთ: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე სახელშეკრულებო სამართალში აგებულია ბევრი სხვა ნორმა სამართლის სისტემაში, თუმცა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ძალზე იშვიათად გვხდება, სწორედ აქედან გამომდინარე, მისი როლი და მოთხოვნა უნდა გაიზარდოს.

კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში არის მხარეთა თანასწორობის, ზნეობის პრინციპი, რომელმაც სამართლის განვითარებაში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს და იყოს ის მთავარი ფუძე რაზეც ბევრი ნორმა დამყარდება.

ევროპის სხვადასხვა ქვეყანას კეთილსინდისიერების პრინციპი სხვადასხვაგვარად ესმით, მაგრამ ვასკვნით რომ, მისი არსებობიდან გამომდინარე იგება უამრავი სხვა ნორმაც, რაც საზოგადოებას უშლის ხელს არამართლზომიერი ქმედებისთვის და კეთილი ზნის ჩადენისკენ.

კეთილსინდისიერება უმნიშვნელოვანეს წამყვან როლს ასრულებს სამართლის სისტემაში და ეს ზემოაღნიშნულ ნაშრომშიც ნათლად ჩანს. კეთილსინდისიერების პრინციპი სასამართლოს აძლევს საშუალებას, ჰქონდეს ის უფლებამოსილება, რაც გამოიხტება სამართლის ახალი ნორმების შექმნაში, ისე როგორც კეთილსინდისიერების არსი არის განუსაზღვრელი შინაარსის. მისი გამოყენება, ძირითადად, ხდება მაშინ როცა სამართლის რაიმე ნორმა ბუნდოვანია, ან კონკრეტულ საქმეს არ აკმაყოფილებს მხოლოდ ეს ნორმა, ან კეთილსინდისიერების პრინციპის გარეშე დაუსრულებელი იქნება.

კეთილსინდისიერების პრინციპს პირველად საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთში და მის შემდეგ უმნიშვნელოვანს როლს ასრულებს სამართლის სისტემაში. კეთილსინდისიერების პრინციპი ფუძემდებლური პრინციპია და მისი გამოყენების შემდგომ კიდევ უფრო ნათელი, სამართლიანი და ზნეობაზე დამყარებული ხდება სამართლებრივი ურთიერთობები.

სსკ-ს მე-8 და სსკს 361-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე მხარეები უნდა მოქმედებდნენ ვალდებულების შესრულებისას კეთილსინდისიერად. ეს მართალია ფართო გაგების საკითხია, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ყველას გვაკისრია, რაც საერთო ჯამში ეხმარება სამართლის იმ ნორმებს, როცა ვალდებულნი არიან მხარეები ერთმანეთის მიმართ იყვნენ კეთილსინდისიერნი და არ შელახონ სხვათა უფლებები.

რაც შეეხება კეთილსინდისიერების ფუნქციებს, ნაშრომში გადმოცემულია უმთავრესი ფუნქციები: ხარვეზის შევსების ფუნქცია, მხარეთათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრების ფუნქცია , შეზღუდვისა და კორექტირების ფუნქცია. თითოეული ფუნქციის გამოყენების საფუძველზე კეთილსინდისიერება უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სახელშეკრულებო სამართალში.

კეთილსინდისიერება არის სახელშეკრულებოს სამართლის ფუძემდებელი, რაც ნათლად ისახება საზოგადოების სამართლებრივ ურთიერთობებში, რომ მის გარეშე შეუძლებელია ზნეობის „ჩარჩოებში“ მოქცევა.

კეთილსინდისიერება გულისხმობს მხარეებს შორის პასუხისმგებლობით ერთმანეთის უფლებებისადმი და ვალდებულებისადმი პატივისცემით მოპყრობას. მის საფუძველზე აღმოიფხვრება ხელშეკრულებისა და კანონის ხარვეზები.

კეთილსინდისიერება ნორმატიული კატეგორიაა. იგი მორალური და ეთიკური და პრინციპია, რომელსაც ყველა განვითარებული სამრთლებრივი სისტემა აღიარებს. კეთილსინდისიერების საფუძველზე მხარეებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება, წარმოეშვათ ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ.

კეთილსინდისიერების პრინციპზე დგას ის სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობები. კეთილსინდისიერების არსი ფართო გაგებისაა და მკვლევარებიც ადასტურებენ ამას, თუმცა საბოლოო ჯამში, ვასკვნით, რომ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობის შედეგად

ვამყარებთ იმ ურთიერთობებს სამართალში, რაც მთლიან სამართლებრივ სისტემას უფრო მეტად ამტკიცებს. კეთილსინდისიერება არის სამართლის ფუძემდებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაშაკიძე გ, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1
2. ზოიძე ბ. ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე. 2001
3. იოსელიანი ა, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007.
4. კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი ცნებები, თბილისი, 2009
5. როგავა რ. კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პუბლიკაციები, 2016
6. ცვაიგერტი კ. კოტცი ჰ. შედარებითი სამართლმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2001
7. ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008.
8. ხუნაშვილი ნინო, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბ., 2016.
9. ჯორბენიძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017
10. ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014.

უცხო ენოვანი ლიტერატურა:

1. Oertmann Paul, Die Geschäftsgrundlage: ein neuer Rechtsbegriff. Leipzig, 1921, მითითებულია: Eckl Ch., Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007.
2. Steyn J., The Role of Good Faith and Fair Dealing in Contract Law: A Hair-Shirt Philosophy? Denning. Law Journal. Vol. 6., 1991,140-141.
3. Цвайгерт К. Кётц Х., Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, Международные отношения , М. 1998, 264

ინტერნეტ რესურსები:

1. სასამართლო პრაქტიკა: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf
2. ლადო ჭანტურია ბოლო დამუშავება: 3 ნოემბერი, 2015: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/11/Artikel-8.pdf

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა:

- ა.შ. - ასე შემდეგ
- გვ. - გვერდი
- ე. წ. - ეგრეთ წოდებული
- ე.ი. - ესე იგი
- იხ. - იხილეთ
- მაგ. - მაგალითად
- სხვ. - სხვა
- სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ზუბადალაშვილი

2019